ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

if,fsb7 @( ctmntv,thb7 @)!@

1232 (5922)

afcb5 #) stshb

24 სექტემბრიდან
ვფ[ფქბ სფჯ,ფ4
+
ცფმფჰსლდტქჯს ბცნჯჰბფ
!) ქფჰბ





## ბიძინა ივანიშვილი: ჩვენ მერაბიშვილი არ გვეხმარება“

გვ.3



## საქართველოში ქურდები ველარ დაბრუნდებიან!“

გვ.3

## ახალაიებმა სააკაშვილს შეიძლება პრობლემები შეუქმნან“

გვ.2





## „ლიბერთი ბანკის“ სათავო ოფისში ხანძარი გაჩნდა

გუშინ „ლიბერთი ბანკის“ სათავო ოფისში ხანძარი გაჩნდა. დამწვარია შენობის მარჯვენა მხარე, სავარაუდოდ, ლიფტის შახტა. ადგილზე მუშაობდა 20-25 სახანძრო და სამაშველო ეკიპაჟი. დაზარალებულები არ არიან.

ოფიციალური ინფორმაციით რაიმე დოკუმენტაცია განადგურებული არ არის. ოფისის მარჯვენა მხარეს 12 სართული იყო ცეცხლმოკიდებული. სპეციალისტების განმარტებით, მომხდარზე შედგება სახანძრო აქტი, გადაეცემა ვაკის პოლიციას და დაიწყება გამოძიება.

მედიანიუსი



## ქართულ ციხეებში არსებულმა ვითარებამ ბრაიზაც შეაშფოთა

გვ.4



## გია ბურჯანაძე: საზოგადოებამ პროსტესტი დაგვიანა“

გვ.4

ISSN 1987-9385

21 სექტემბრიდან
ვფ[ფქბ სფჯ,ფ4
+
ჰჯ,ტჰნ აბიტჰბ
* ქფჰბ



# ახალაიებმა სააკაშვილს შეიძლება პრობლემები შეუქმნან“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტ სოსო ცისკარიშვილთან

***— ბატონო სოსო, არჩევნებამდე დარჩენილია ორი დღე, ამ ფონზე ჩვენ ვხედავთ, როგორი ბინძური კომპრომატების ომი მიმდინარეობს. მიმდინარეობს ბრძოლა წესების გარეშე. როგორია თქვენი, ექსპერტის შეფასებები ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

— მე ვიტყოდი, რომ კომპრომატები ვრცელდება მხოლოდ ხელისუფლების მხრიდან. ჩემთვის განსხვავება არსებობს ფაქტსა და კომპრომატს შორის. როდესაც ოპოზიციურ კოალიციას ბრალდება კადრების გავრცელება იმ სადიზმის შესახებ, რომლის არსებობის შესახებ ვიცოდით და გვსურდა, რომ არ ვყოფილიყავით მართალნი, ადამიანი მაინც იმედს იტოვებს, რომ გადაჭარბებულია ინფორმაცია, რომელიც არაფორმალური წყაროებიდან ვრცელდება. სამწუხაროდ, რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა. დიახ, სადისტების ჯგუფი, რომელიც მოკალათდა ხელისუფლების სათავეში, ჩადიოდა იმას, რაც ჩვენ ვიხილეთ, ხოლო საუბარი ქურდულ სამყაროზე, მხედრიონის აღდგენაზე, საბჭოთა კავშირში დაბრუნებაზე — ეს არის შიშისაგან და დისკომფორტისაგან, ფანტაზიამორღვეული ადამიანების მცდელობა, რამენაირად გაათანასწორონ სიტუაცია საინფორმაციო ველში.

***— ცდილობენ, გადაფარონ ციხის სკანდალი?***

— რასაკვირველია. ასეთი ცილისწამებები შედეგის მომტანი არ იქნება, რადგან ჩვენი მოსახლეობა უკვე უკეთესად არკვევს ტყუილსა და მართალს ერთმანეთისგან, ამიტომ მხოლოდ გონებაჩლუნგი უნდა იყოს ადამიანი, თუ ვერ ხვდება, რომ ყველაფერი, რაც ხდებოდა ციხეებში, შესანიშნავად იყო ცნობილი საქართველოს პრეზიდენტისთვის და, დარწმუნებული ვარ, არაერთხელ იყო მსჯელობის საგანი მის უახლოეს გარემოცვასთან ერთად. ოღონდ საგანი არ იყო წამების შეწყვეტა. სამწუხაროდ, ალბათ, უფრო ვერაგულ ფორმებზე იყო საუბარი და ამიტომაც წლების განმავლობაში ეს სადისტური მანქანა ყოველგვარი ადამიანური კატეგორიების იგნორირებით მუშაობდა.

***— იყო საზოგადოების მოთხოვნა, რომ სისხლის სამართლის საქმე აღძრულიყო ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ, მაგრამ სააკაშვილმა რატომღაც თავი შეიკავა და მხოლოდ მისი გადაყენებით შემოიფარგლა. როგორ ფიქრობთ, უფრო მომგებიანი ხომ არ იქნებოდა ამ ნაბიჯზე წასვლა?***

— პოლიტიკურად, რასაკვირველია, მომგებიანი იქნებოდა, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილების მიღება შეეძლო ადამიანს, რომელიც თავად არ არის გასვრილი ყოველივე იმ უმსგავსობაში, რაც ვიხილეთ, რადგან, დასაჯო შენი თანამზრახველი, ნიშნავს იმას, რომ საკუთარი თავი ჩაიგდო საფრთხეში. ამიტომ ჩავთვალოთ, რომ სწორედ საკუთარი თავის მიმართ უზომო სიყვარულის გამო პრეზიდენტმა არ დასაჯა ადამიანი, რომელიც წლების მანძილზე სარგებლობდა სადისტის ავტორიტეტით და, შესაბამისად, ჩათვალა, რომ საკითხი დახურულია.

***— ახალაიამ საკმაოდ ბევრი იცის და შეიძლება, შეეშინდა კიდეც სააკაშვილს მისი დაკავება.***

— რასაკვირველია, ახალაიები ის კლანია, რომლის თავკაცმა, ბატონმა როლანდმა, გარკვეულწილად გადაიბარა კიდეც სააკაშვილისგან ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციები, როცა მის ერთ შვილს გადასცეს პოლიცია, მეორე შვილს — ჯარი და თავად ბატონი როლანდი გაამზადეს პარლამენტის წევრობისათვის. ნებისმიერი მცდელობა სააკაშვილისა, რომ იგი ყოფილიყო განმკარგავი ჯარისა და პოლიციის, შეიძლება ყოფილიყო ბლოკირებული და სცენარი განვითარდებოდა სწორედ იმ მიმართულებით, რომელსაც აირჩევდა ახალაია უფროსი.



***— ბატონო სოსო, რამდენიმე დღეა უკვე ღია საუბრები დაიწყო ბადრი პატარკაციშვილისა და ზურაბ ჟვანიას მკვლელობებთან დაკავშირებით. რამდენად არის იმის საფრთხე სააკაშვილისთვის, რომ ამ არჩევნების პერიოდში ეს საქმეები ამოტივტივდეს?***

— მას შემდეგ, რაც ჩვენ ვიხილეთ ვიდეომასალა ხელისუფლების „ჰუმანურობის“ შესახებ, რასაკვირველია, მეხსიერებაში თავისთავად ამოტივტივდა საქმეები, რომლებიც დღემდე ელის პასუხს. ის, რომ წლების განმავლობაში ციხის ჯალათებზე თითქოსდა აღიძრა არაერთი სისხლის სამართლის საქმე სწორედ პატიმართა წამების გამო და, ფაქტობრივად, არც ერთი ბოლომდე არ მივიდა, რასაკვირველია, უმალ გაგვახსენებს ყველაზე უფრო გახმაურებულ საქმეს ბატონი ზურაბ ჟვანიას დაღუპვის შესახებ, რომელიც დღემდე ასევე პასუხგაუცემელია და, რაც მთავარია, ხელისუფლებას აღარ აქვს სურვილი, რაიმე ტიპის პასუხისმგებლობა გამოიჩინოს თუნდაც იურიდიული დოკუმენტის საბოლოო სახით წარმოსადგენად. სწორედ ამაზეა ნათქვამი, ქურდს ქუდი ეწვისო. როგორც ჩანს, დასამალი კიდევ ბევრი აქვს ხელისუფლებას, თუ ქართველი ხალხი მას ამის საშუალებას მისცემს.

***— ბატონო სოსო, იმ მცირე დროის მიუხედავად, რაც არჩევნებამდე რჩება, ვხედავთ, როგორი ძლიერი რეპრესიული მანქანა მუშაობს, კვლავ გრძელდება დაჭერები. რჩება განცდა, რომ ხელისუფლება არ აპირებს კურსის შეცვლას.***

— სხვა რამე არ უსწავლია პრემიერმინისტრობის კანდიდატს. ჩვენ ხომ, პრაქტიკულად, საპარლამენტო არჩევნებით ვაკეთებთ საკუთარ არჩევანს. ვინ შეიძლება იყოს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი — ვანო მერაბიშვილი თუ ბიძინა ივანიშვილი. ძალიან მარტივი საკითხია. ჰოდა, რა გასაკვირია, პრემიერმინისტრობის ასეთმა კანდიდატმა გამოიყენოს ის მეთოდები, რომლისთვისაც ის გახდა შეუცვლელი პირი თავად პრეზიდენტისთვის.

***— ბატონო სოსო, თქვენთვისაც ცნობილია, როგორ შეგვიზღუდა ცესკომ მუშაობის უფლება იგივე ფოტო და ვიდეოგადაღებებთან დაკავშირებით. ამ ყველაფრის ფონზე რა უნდა ვივარაუდოთ?***

— უნდა ვივარაუდოთ, რომ საბოლოოდ გაირკვა მითი ქრისტიან-დემოკრატებისა და ევროპელი დემოკრატების ოპოზიციური ქალწულობის სიყალბის შესახებ. ჩემთვის ეს მთავარი შედეგია, ძალიან გულდასაწყვეტი, პირდაპირ გეტყვით. როდესაც თავმოყვარეობის პრეტენზიის მქონე ოპოზიციონერებად წოდებული ადამიანები სრულიად უტიფრად ელაქუცებიან ხელისუფლებას და, რაც არ უნდა მკაცრი იყოს მათი სატელევიზიო კლიპები, რეალობაში კვლავ ხელგაწვდილნი რჩებიან ხელისუფლებისგან მოწყალების მიღების მოლოდინში, ხოლო ის, რომ ჩვენი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გათარხნიშვილდა და ცდილობს, მიბაძოს მის ოდიოზურ წინამორბედს, რასაკვირველია, უკვე არჩევნების შემდეგ გახდება აქტუალური. დიდხანს ეცადა ცესკოს თავმჯდომარე, შეენარჩუნებინა სახე, მაგრამ, ფაქტობრივად, ვინც დახატა ეს სახე, მანვე გაამუქა ყველა ფერი და ახალი თავმჯდომარეც, სამწუხაროდ, წარმოაჩინა მანქურთად, რომელსაც უწევს შავზე თეთრის მტკიცება. ამდენად, მედიის შეზღუდვა ყველაზე თვალსაჩინო მახასიათებელია ყველა იმ დამკვირვებლისთვის, რომლებიც მრავლად ჩამოდიან საზღვარგარეთიდან და რომელთაც უკვე აეროპორტის შენობაში გამოჩენისთანავე ღვინის ბოთლით ასაჩუქრებს საზოგადოება. არა მგონია, ერთი ბოთლი ღვინო რაიმე განსაკუთრებულ სიმდიდრეს წარმოადგენდეს ვინმესთვის, მაგრამ იქნებ ინფორმაცია მიეწოდებინათ ქვეყნის შესახებ, რომელშიც ჩამოვიდნენ, თუნდაც ყალბი, რადგან აქ ყოფნის განმავლობაში ეს სიყალბე კიდევ უფრო გამჟღავნდებოდა.

***— უცხოელი დამკვირვებლების სიმრავლე თუ შეცვლის ვითარებას? თქვენ აღნიშნეთ, რომ მრავლად მოდიან.***

— ვითარებას დიდწილად გააწონასწორებს, მე ვიტყოდი, რადგან ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტიც კი აღარ არის მზად რაიმე შეფასებებისთვის, ვიდრე დამკვირვებელთა გუნდი, კერძოდ კი ეუთოსი, არ იქნება მკაფიო საკუთარ დასკვნაში. ეუთო არ გახლავთ ის ჯგუფი, რომელიც მხოლოდ თავის, საკუთარ ახირებულ აზრს გამოაქვეყნებდეს, ისინი იურთიერთებენ დამკვირვებელთა სხვა ჯგუფებთან და რაიმე კოლექტიური სიყალბის მოლოდინი არ უნდა გვქონდეს.

***— ბატონო სოსო, როგორც ცნობილია, თქვენ გუშინ დაბრუნდით უკრაინიდან, სადაც შეხვედრები გქონდათ. რა მიზანს ისახავდა ეს ვიზიტი და რა განწყობებია ქვეყნის ფარგლებს გარეთ?***

— სოციალური კომუნიკაციების სააგენტოს ინიციატივით უკრაინელმა კოლეგებმა ჩაატარეს საზოგადოებრივი აზრის კვლევა საქართველოს საექსპერტო კვლევებში. ასამდე ექსპერტი, პოლიტოლოგი იყო გამოკითხული ვითარებაზე საქართველოში და აი ამ დოკუმენტის პრეზენტაციაზე საქართველოდან მიწვეულ პირთა პრესკონფერენციისთვის, მრგვალ მაგიდასთან დისკუსიისთვის და უკრაინის მედიით არაერთი გამოსვლისათვის იყო მიწვეული ჯგუფი. ამ ჯგუფის შემადგენლობაში აღმოვჩნდით შვიდნი, მათ შორის ქალბატონი ლია მუხაშავრია, ბატონები გელა ნიკოლაიშვილი, კახა კახიშვილი, ზაზა ხატიაშვილი, ლევან მეტრეველი, მამუკა გობეჩია და თქვენი მონა — მორჩილი. მიწვეული იყო აგრეთვე ბატონი გოგა ხაინდრავა, მაგრამ ცნობილი მოვლენების გამო მან არჩია, საფრანგეთის ხელისუფლებასთან გაერკვია ქართული ხელისუფლების ცუღლუტობის საკითხი. მინდა გითხრათ, რომ ძალიან საინტერესო იყო საქართველოს საელჩოს პოზიცია, რომელმაც ყველა ღონე იხმარა იმისთვის, რომ ასეთი პრესკონფერენცია არ შემდგარიყო უკრინფორმის დარბაზში. 12 საათზე დანიშნული პრესკონფერენცია, მათი ძალისხმევითა და თქვენი ვაიკოლეგის ჟურნალისტ ვახტანგ ყიფიანის სრულიად უსინდისო ქმედებების შედეგად, უკრინფორმმა უარი თქვა ორგანიზატორებისთვის უკვე მიცემულ პირობაზე და ორგანიზატორები იძულებულნი გახდნენ, სხვა საინფორმაციო სააგენტოს დარბაზში მომხდარიყო ეს შეხვედრა. რასაკვირველია, ბატონი ყიფიანი, რომელიც უტიფრად ავრცელებდა ინფორმაციას, რომ ჩამოსული ადამიანები არიან პუტინის პოლიტიკის პროპაგანდისტები, რომ ისინი ამზადებენ ივანიშვილთან ერთად რუსეთის ჯარების შემოყვანას საქართველოში, რომელიც 40 კილომეტრშია და ასეთი იდიოტური გამონათქვამებით, სხვას ვერაფერს ვუწოდებ ამ ადამიანის ქმედებას, იგი უკრაინის მოქალაქეა და აკრედიტებულია ყველა ღონისძიებაზე, სადაც საელჩოს ხელი მიუწვდება. ვიტყოდი, რომ ჩვენს საელჩოს, რომელიც არის პრიმიტიული ერთეული ნაციონალურ-სადისტური მოძრაობისა, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. სამ საათზე შედგა მაინც ასეთი პრესკონფერენცია და, როდესაც მოიკითხეს გოგა ხაინდრავა, რომლის მიმართ დაწყებული პროვოკაციული მანქანის შესახებ მათ უკვე ჰქონდათ ინფორმაცია, შემდგომ დიდი ინტერესითა და შეშფოთებით უყურეს ფილმს „დემოკრატიის შუქურა“, გოგა ხაინდრავას მიერ გადაღებულს და ყველასთვის ცხადი გახდა, რატომ არის ასეთი ცილისმწამებლური კამპანია გაჩაღებული მის წინააღმდეგ საქართველოში. ინტერესი იყო დიდი ჩვენი შეხვედრებისთვის, მაგრამ, უნდა გითხრათ, რომ მიხეილ სააკაშვილის მიმართ მოსახლეობაში არის უზარმაზარი სიმპათია. გვიკავშირდებოდნენ რადიომსმენელები, არაერთი ინტერვიუ იქნა მიცემული საქართველოში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით იქაური სააგენტოებისთვის და მეორე დღესვე იყო ამაზე სერიოზული გამოხმაურება. გვირეკავდნენ სხვადასხვა ქალაქიდან და გვთხოვდნენ განმარტებებს იმ ვითარებაზე, რომელიც ჩვენს ქვეყანაშია. ამ დილით ოფისში უკვე ორი გადამღები ჯგუფი მოვიდა, როგორც უკრაინის, ისე ბელორუსიის ტელევიზიებისა და ძალიან აქტიურები არიან. ასევე ველოდები კომუნიკაციებს ავსტრიისა და პოლონეთის ტელევიზიებთან.

***— ბატონო სოსო, რამდენად არის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასული რეალური ინფორმაცია არსებულ ვითარებაზე?***

— რეალური ინფორმაცია რიგითი უკრაინელებისთვის, რასაკვირველია, არ იყო ხელმისაწვდომი, რადგან აქტიურია სააკაშვილის საელჩო იმ ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელებაში, რასაც აქაც აქვს ადგილი, მაგრამ ჟურნალისტებს, განსხვავებით რიგითი მსმენელებისაგან, აქვთ ინფორმაცია, იმიტომ რომ ისინი მხოლოდ საელჩოს პასკვილებით არ აფასებენ ინფორმაციის რეალობას. სააკაშვილის მიმართ ინტერესი იმიტომ არის მაღალი პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომ საკუთარი პრეზიდენტების მიმართ არიან კრიტიკულად განწყობილნი. პუტინის ფონზე სააკაშვილი უფრო დემოკრატ ლიდერად ეჩვენებათ.

ახალი თაობა

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

თეა მარხვაიძე

**არჩევნები უკვე კარს მოგვადგა. პოლიტიკური ლიდერების განცხადებები ტრადიციულად მწვავე სახისაა. განცხადებებს სიმწვავე შეუძინა 'ქართული ოცნების~ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმაც.**

რომელიც ძალიან ხშირად ახსენებს ვანო მერაბიშვილს. აქამდე ის მერაბიშვილს გამუდმებით აქებდა. ახლა კი მისი კრიტიკა დაიწყო. ივანიშვილი იმ ჭორებსაც უარყოფს, რაც ოცნების და მერაბიშვილის ურთიერთობებზე ვრცელდება.

კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, მთავრობის მიერ გავრცელებული ჭორია, თითქოს ვანო მერაბიშვილი მას ხელისუფლებაში მოსვლაში ეხმარება.

– მე ადრე ვანოზე რამდენჯერმე კომპლიმენტი ვთქვი, რომ იმ გუნდში ყველაზე დაბალანსებულია, თუმცალა ამ ბოლო დროს ვანომაც მთლიანად დაკარგა თავი და ძალიან ბევრ სისულელეებს საუბრობს. ის ოდესღაც გამოაგდეს პოლიციიდან და ახალაიამ დაიჭირა მისი ადგილი. ახალაიას რაც შეეხება, ჩვენმა ახალგაზრდებმა აიძულეს ხელისუფლება გაეთავისუფლებინა, თუმცა ეს არ არის საკმარისი. ამის შემდეგ მოხდა მარტივი რამ, ვანო დააბრუნეს პოლიციაში და მან დაიწყო ისევ პოლიციის მართვა. დაიწყო იმის მტკიცება, რა მაგარია, როგორ სჯობია ახალაიას. ამიტომ ჩვენი პოლიცია ბოლო ამოსუნთქვას აკეთებს ვანოს ზეწოლით და პაკეტების დარიგებით, კონვერტებით ურიგებენ ფულს პოლიციის უფროსებს და ხდება ის, რომ 60 ჩვენი აქტიური მონაწილე დააპატიმრეს. აღადგინეს, რაც იცოდნენ. ახალი სვლები მათ არ აქვთ. ახლა ვანო ვაჟკაცობს, ლაპარაკიც ისწავლა. ვიღაცას უსწავლებია ვანოსთვის საუბარი, მაგრამ ისიც ესწავლებინა, რომ ცოტა ჭკვიანური აზრები ეთქვა, იმდენ სისულეებს საუბრობს. მათ შორის თითქოს ჩვენ „მხედრიონს“ დავაბრუნებთ. ამაზე, უფრო ადრე, კიდევ უფრო, როდესაც ციხეში წამებების გადაფარვას ცდილობდნენ, დიდი სისულელე თქვა, რომ თუ მხარს ჩვენ არ დაგვიჭერთო, მოვა კოალიციაო და თურმე იმ ხალხს, ჯალათებს, ვინც პატიმრებს აწამებდნენ, ამ მწამებლებს მოიყვანს ხელისუფლებაშიო, – განაცხადა ივანიშვილმა.

მან მოუწოდა მერაბიშვილს „იქნებ მოახერხოს, რომ ასეთი სისულელეები აღარ თქვას და ბოლომდე ნუ გაინადგურებს საკუთარ სახელს“.

მისი განცხადებით, ბოლო პერიოდში გააქტიურებული ვანო მერაბიშვილი ამტკიცებს, რა მაგარია და ახალაიას როგორ სჯობს.

– ბოლო პერიოდში, ვანო მერაბიშვილი ძალიან ბევრ სისულელეს იძახის და მე მხოლოდ იუმორით ვუყურებ მას. რაც მოხდა, მოხდა. ვანო მერაბიშვილი ოდესღაც გამოაგდეს პოლიციიდან და ბაჩო ახალიამ დაიჭირა მისი ადგილი. ახალგაზრდებმა კი ჩვენი ხელისუფლება აიძულეს, რომ ახალაია გაეთავისუფლებინათ და ეს საკმარისი არ იქნება, რა თქმა უნდა. კიდევ ძალიან ბევრ ადამიანს მოუწევს პასუხი აგოს იმ ძალადობებზე, რასაც ხელისუფლება ახორციელებდა. მოხდა მარტივი რამ, ვანო დააბრუნეს პოლიციაში და ვანომ დაიწყო ისევ პოლიციის მართვა და ჩანს ახლა, რა მაგარია და ახალაიას როგორ სჯობს. ამიტომაც ჩვენი პოლიცია ბოლო ამოსუნთქვას აკეთებს მერაბიშვილის ზეწოლით და პაკეტებით – პოლიციის უფროსებს კონვერტებით ურიგებენ ფულს და ხდება ის, რაც ხდება. ჩვენი ძალიან აქტიური 60 მხარდამჭერი დააპატიმრეს, – აღნიშნა მეოცნებეთა ლიდერმა.

ივანიშვილის განცხადებით, მერაბიშვილს ვიღაცამ ახლა ასწავლა საუბარი, მაგრამ კოალიციის ლიდერმა მერაბიშვილს მოუწოდა, ნუ დაემსგავსება მის პრეზიდენტს, რომელიც უკვე სასაცილო გახდა.

– ახლა ვანო ვაჟკაცობს და ლაპარაკიც უსწავლია. ვიღაცამ ასწავლა, როგორც ჩანს, საუბარი, მაგრამ ცოტა ჭკვიანურები ესწავლებინა, ვიდრე ის, რომ თურმე მხედრიონს დავაბრუნებთ. იმაზე ადრე კიდევ უფრო უარესი სისულელე თქვა, როცა ციხეების ამბის გადაფარვას ცდილობდნენ და ვანოსაც აქვს ამაში წვლილი, ის შს მინისტრი იყო და მშვენივრად იცოდა, რაც ხდებოდა ციხეებში. ვანომ თქვა, რომ თუ მათ არ დაუჭერს საზოგადოება მხარს, კოალიცია მოვა და იმ ხალხს მოიყვანს, ვინც ციხეში პატიმრებს აწამებდაო. ასეთ სისულელეებს საუბრობს ის და კარგი იქნება, თუ ცოტა ჭკვიანურად საუბარს ისწავლის. მისი პრეზიდენტი უკვე სასაცილო გახდა და თვითონაც ასეთი ნუ გახდება, – აცხადებს ივანიშვილი.

„მეცხრე არხის“ ეთერში ივანიშვილმა განაცხადა, რომ ის გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად არ იღებს.

– მე ძალიან კარგად ვიცი, რა არის მენეჯმენტი. ჩემი წარმატების ძირითადი საწინდარი წარსულში, ჩემს ბიზნესში, არის ის, რომ ძალიან კარგად ვიცი კადრების შერჩევა და ძალიან კარგად ვიცი, როგორ მივიღო გადაწყვეტილება. ის, ვინც ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას იღებს, თქვენ უკვე გყავთ ეგეთი კაცი, რომელიც არავის არაფერს ეკითხება და მთელი ქვეყანა დაანგრია. ეს გახლავთ სააკაშვილი. ის აზრზე არ არის მართვის, აზრზე არ არის მენეჯმენტის. ისინი, როგორც საბავშვო ბაღის ბავშვები, ისე ექცევიან ქვეყანას. რაღაც თამაშობანას ეწევიან ჩვენს სამშობლოსთან, – განაცხადა ივანიშვილმა.

„ქართული ოცნების“ ლიდერის თქმით, მის გუნდს ქვეყნის მმართველობის სრულიად განსხავებული ფორმა ექნება. როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, კოალიციაში გადაწვეტილების მიღება კონსენსუსის, კამათის და მსჯელობის საფუძველზე ხდება, სადაც ჯანსაღი აზრი იმარჯვებს.

როგორც ივანიშვილმა განაცხადა, მოსახლეობა სულ მალე ნახავს, როგორი უნდა იყოს ჯანსაღი ხელისუფლება და კარგად მართული ქვეყანა.

ივანიშვილის განცხადებით, ხელისუფლებაში მათი მოსვლის შემთხვევაში, საჯარო მოხელეების აბსოლუტური უმრავლესობა დაკავებულ თანამდებობას შეინარჩუნებს.

– ახალი ხელისუფლების პირობებში საჯარო მოხელეებს საკუთარი შემოსავლების გაზრდის რეალური შესაძლებლობაც გაუჩნდებათ. ამ ხელისუფლების პირობებში თუ ეს გაგრძელდებოდა, გარწმუნებთ, რომ საჯარო მოხელეებს ესენი ხელფასსაც კი ვეღარ გადაუხდიდნენ და ამიტომაც არის, რომ ჩვენ ვამბობთ, გვაჩვენეთ 2013 წლის ბიუჯეტი... ბიუჯეტი არის კატასტროფული შეიძლება, პენსიებიც ვერ გაიცეს და შეიძლება საჯარო მოხელეებზე ხელფასებიც კი ვერ გაიცეს. საჯარო მოხელეების იმ ნაწილს, ვისაც დანაშაული არ აქვს ჩადენილი, „ქართული ოცნება“ ღირსეულად მოეკიდება, ხოლო დამნაშავეებს სასამართლო გაასამართლებს. პოლიტიკური ნიშნით დევნა არ დაიწყება, – ამბობს ივანიშვილი.

ივანიშვილის განცხადებით, იგი არ არის დაინტერესებული იმით, რომ ქვეყნის სიმბოლიკა: დროშა, გერბი და ჰიმნი შეიცვალოს.

ივანიშვილი ამ დღეებში გავრცელებულ კომპრომატებსაც გამოეხმაურა. ის ამას ტყუილს უწოდებს. ამ დღეებში სოციალური ქსელებით გავრცელდა ჩანაწერები. სადაც მეოცნებეები ერთმანეთს აგინებენ. მერე გაირკვა, რომ ამ ჩანაწერების გამავრცელებელი, ბიძინა ივანიშვილის დაცვის თანამშრომელი, ბესო სურმავა ხელისუფლებამ გაიტაცა.

– ბესო სურმავას მიერ აქტივირთული ფარული აუდიოჩანაწერები დამონტაჟებულიც რომ არ იყოს, კატასტროფა არაფერია, – ამბობს ივანიშვილი.

მისი თქმით, ბესო სურმავა ძალიან კარგი ადამიანია და მასთან მეგობრობდა, როგორც დაცვის დანარჩენ წევრებთან.

– მთელი დაცვა შოკშია. ვერ გაუგიათ, რა ხდება. ძალიან დიდი ეჭვია, რომ ეს ხელისუფლების ახალი ფანდია. რაც შეეხება ჩანაწერებს, სურმავა არაფერ შუაშია და ეს ჩვეულებრივია, ტიპურია, რომ ისინი ყველაფერს უსმენენ და იწერენ. ეს კომბინაცია გაკეთებულია ხელისუფლების მიერ, რომ გადაკიდოს გუნდის წევრები ერთმანეთს. თუმცა ეს ყველაფერი დამონტაჟებულია და მსგავსი პრაქტიკაში არ ყოფილა, მაგრამ მთავარი ეს არ არის. ასეც რომ ყოფილიყო, აქ საოცარი არაფერი არ ხდება, რომ საზოგადოება შოკში ჩავარდეს, აქ კატასტროფა არაფერია. ამით ცდილობენ, როგორმე გადაფარონ ის წამებები, რაც ჩვენ ვნახეთ და რამაც მთელი მსოფლიო შოკში ჩააგდო. ამ დანაშაულებრივი ინფორმაციის გადაფარვა უნდათ ნებისმიერი ინფორმაციით. ამ დროს არაფერი ხდება, ყველაფერი მათივე დამონტაჟებულია, ჩვენ გვაქვს მეგობრული გუნდი, – განაცხადა ივანიშვილმა.



# ბიძინა ივანიშვილი: ჩვენ მერაბიშვილი არ გვეხმარება“

# მიხეილ სააკაშვილი — საქართველოში ქურდები ვეღარ დაბრუნდებიან!

თეა მარხვაიძე

არჩევნების წინ მმართველმა გუნდმა მორიგი ხმაურიანი თავყრილობა გამართა. ნაცმოძი ეროვნულ სტადიონზე შეიკრიბა. მათ მხარდამჭერები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოიყვანეს. ოპოზიციის მტკიცებით, დინამო არენა ნაცმოძმა ბავშვების გამოყენებით ძლივს შეავსო.

პირველად შეკრებილ მხარდამჭერებს დეპუტატმა გიორგი გაბაშვილმა მიმართა. მან დღევანდელ შეკრებაში მონაწილეობისთვის მოქალაქეებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ნაციონალური მოძრაობის გამარჯვებამდე სამი დღე დარჩა.

– ჩვენ გვეუბნებიან ოპონენტები, რომ ჩვენი დრო ამოიწურა, მაგრამ საქართველოს აღმშენებლობის დრო არასოდეს ამოიწურება. აქ ხართ ადამიანები, რომლებმაც დაამარცხეთ უშუქობა, უგზოობა, რომლებმაც უარი უთხარით ასლან აბაშიძის რეჟიმს და ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ, – მიმართა მოქალაქეებს გაბაშვილმა.

მოქალაქეებს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პრიორიტეტებს ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საკითხთა მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილმა გააცნო. მისი თქმით, ნაციონალური მოძრაობა ხალხს მეტი სარგებლის გარდა ჰპირდება მეტ სამუშაო ადგილს, მეტ გაზიფიკაციასა და წყალმომარაგებას.

– ჩვენ ყველა ერთად მივაღწევთ იმას, რომ გქონდეთ დაზღვევა, რომ განვითარდეს სოფლის მეურნეობა, გაძლიერდეს ქართული სოფელი და პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ხალხს ექნება მეტი სარგებელი, – აღნიშნა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

გიორგი ბარამიძის განცხადებით, მმართველი პარტია ერთიანი, ძლიერი, პატრიოტთა გუნდია და ამიტომ არჩევნებში აუცილებლად გაიმარჯვებს. შესაბამისი განცხადება ბარამიძემ დღეს ეროვნულ სტადიონზე მიმდინარე მხარდამჭერთა შეკრებაზე გააკეთა. მან ის მიზნები და გამოწვევები შეაფასა, რომლის წინაშეც ქვეყანა ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა მიმართულებებით დგას.

– ამ ამოცანის შემსრულებელი არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – მიხეილ სააკაშვილის, ვანო მერაბიშვილის, დათო ბაქრაძის, გიგი უგულავას გუნდი, თითოეული ჩვენგანის გუნდი, ქართველი ხალხი არასდროს იტყვის უარს თავისუფლებაზე, ქართველი ხალხი დაუდგება გვერდით მის ლიდერებს, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, რომელმაც მთელი ამ ხნის განმავლობაში შენებით ისწავლა... ისწავლა, როგორ უნდა აკეთოს, ისწავლა თავის შეცდომებზე, აქვს უნარი შეცდომებს გაუსწოროს თვალი, აღიაროს, დაუპირისპირდეს ამ შეცდომებს და სწრაფად გამოასწოროს. ჩვენ ვართ ერთიანი, ძლიერი პატრიოტთა გუნდი და ამიტომ, ჩვენ გავიმარჯვებთ, ამიტომ, საქართველო გაიმარჯვებს, – განაცხადა ბარამიძემ.

სიტყვით ვანო მერაბიშვილიც გამოვიდა.

– საქართველო დღეს ჯერ კიდევ დგას არჩევნის წინაშე – დაბრუნდება უკან, თუ წავა წინ. ჩვენ ყველამ ვიცით – ჩვენს მტრებს უნდათ საქართველოში დაბრუნდნენ „კანონიერი ქურდები“, კორუმპირებული ჩინოვნიკები და კრიმინალები. მე და ჩვენი გუნდი ვიძლევით გარანტიას, რომ საქართველოში „კანონიერი ქურდები“ არასდროს დაბრუნდებიან. მე გავაკეთებ ყველაფერს იმისთვის, რომ წელში გავწყვიტოთ ისეთი სენი, როგორიცაა უმუშევრობა. როგორც დავამარცხეთ კრიმინალი, ჩვენ ასევე თქვენთან ერთად დავამარცხებთ საქართველოში უმუშევრობას. მე გაძლევთ გარანტიას, რომ ყველას ექნება საშუალება, მიიღოს ხარისხიანი ჯანდაცვა. საქართველოში ჩვენ დავამარცხებთ ავადმყოფობას, – განაცხადა მერაბიშვილმა.

მისივე თქმით, პირადად იქნება გარანტია იმისა, რომ ქართულ სოფელს ზრუნვა არ მოაკლდება.

– მინდა, ჩვენს წინასაარჩევნო დაპირებას კიდევ ერთი დავამატო – მომავალ წელს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა მოქალაქეს ექნება უფასო ინტერნეტი, რომლითაც ის დაუკავშირდება მსოფლიოს და ჩვენ გავხდებით ყველაზე განათლებული ერი მსოფლიოში, – თქვა პრემიერმა.

თანაგუნდელებს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმაც მიმართა. პრეზიდენტმა გამოსვლაში კანონიერი ქურდებიც მოიხსენია. დაუბარა, შეგიძლიათ თვითმფრინავის ბილეთები ჩააბაროთ უკან, საქართველოში არავინ გელოდებათო.

მიხეილ სააკაშვილმა ბუნებრივია არჩევნების თემაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ სამ დღეში საქართველო უმნიშვნელოვანეს არჩევანს აკეთებს.

– მე მინდა ვუთხრა კარგად დავიწყებულ ე.წ. „კანონიერ ქურდებს“, შეუძლიათ თვითმფრინავის ბილეთები ჩააბარონ უკან, საქართველოში მათ არავინ ელოდება. სამ დღეში საქართველო აკეთებს უმნიშვნელოვანეს არჩევანს, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის მომავალს. არჩევანს, რომელიც შეეხება ყველა ქალაქსა და ყველა ოჯახს. პირველი ოქტომბერი თანაბრად მნიშვნელოვანი დღეა როგორც ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის, ისე საზოგადოების თითოეული წევრისთვის და ალბათ აქამდე არასდროს ვმდგარვართ ასეთი მკაფიო არჩევნის წინაშე, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისივე თქმით, პირველი ოქტომბერი არის არჩევანი წარსულსა და მომავალს შორის. – პირველ ოქტომბერს ჩვენ უნდა გავცეთ პასუხი მარტივ შეკითხვას – გვინდა თუ არა გავაგრძელოთ წინსვლა თუ დავიწყოთ უკუსვლა, გვინდა შევინარჩუნოთ თავისუფლება კრიმინალებისგან, ქურდებისგან, ძალადობისგან, თუ თანახმა ვართ ისევ დავიდოთ ხელზე ბორკილები, რომელიც დავამსხვრიეთ 2003 წელს და ჩავბარდეთ განუკითხაობასა და ქაოსს? ეს არის დიდი არჩევანი და მე მჭირდება თქვენი დახმარება, – მიმართა სააკაშვილმა მხარდამჭერებს.

ამასთან, პრეზიდენტმა გასულ კვირას პატიმართა წამების შესახებ გავრცელებულ ვიდეოჩანაწერებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ ხელისუფლება პრობლემებს არათუ გაექცა, არამედ მას თვალი გაუსწორა.

– გასულ კვირას ყველამ შევიტყვეთ საშინელი ამბავი და ვნახეთ სულისშემძვრელი ფაქტები უპატიებელი დანაშაულების შესახებ. ჩვენი პასუხი არ იყო გაქცევა, დამალვა და პრობლემებისთვის თავის არიდება. ჩვენი პასუხი იყო პრობლემისთვის თვალის გასწორება, ამიტომაც დატოვა ორმა მინისტრმა პოსტი, ამიტომაც დაიწყო გამოძიება, ამიტომაც დაინიშნა სასჯელაღსრულების მინისტრად სახალხო დამცველი, რომელიც ყველაზე დიდი კრიტიკოსი იყო სისტემის. ასე პასუხობს, ევროპულად პასუხობს საქართველო ყველაზე რთულ გამოწვევას, რომელიც შეიძლება მოხდეს ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ სისტემაში. ჩვენ პრობლემას ვუპასუხეთ როგორც გაზრდილმა, თანამედროვე, 21-ე საუკუნის ქვეყანამ, – განაცხადა სააკაშვილმა.



# გია ბურჯანაძე: საზოგადოებამ პროტესტი დააგვიანა“

ნათია ხურცილავა

**მსახიობი გია ბურჯანაძე თავის საზოგადოებრივ პოზიციას წლების განმავლობაში აქტიურად აფიქსირებს. მისთვის, როგორც ჩანს, ნაწილობრივ მიუღებელი აღმოჩნდა ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საზოგადოების ნაწილის პოზიცია და მას ჩასაძირად განწირული ნავიდან გადმოხტომის მიზეზს უკავშირებს.**



## ინტერვიუ მსახიობ გია ბურჯანაძესთან:

***— ბატონო გია, ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე საზოგადოების მკვეთრი პოზიცია იქნა დაფიქსირებული. ვგულისხმობ წამების ამსახველ კადრებს...***

— ოთხი, ხუთი წელია საზოგადოების იმ ნაწილმა, ვისაც აინტერესებდა, იცის, რა ხდება. ყველაფერი იცოდა საზოგადოების იმ ნაწილმა, ვინც განიცდიდა ამ საშინელებას. ახლა კი არ აღშფოთდნენ, ადრეც აღშფოთებულები იყვნენ და მოუწოდებდნენ სოლიდარობის გამოსახატად პატიმრების წამების წინააღმდეგ. ორი წლის წინ ერთ-ერთ ასეთ აქციაზე, სადაც წამებას ვაპროტესტებდით და ჩვენს სოლიდარობას გამოვხატავდით, მე დამაპატიმრეს. არც ორგანიზატორი ვყოფილვარ და არც ჩემი დაგეგმილი იყო ის აქცია, უბრალოდ თავს ვალდებულად ვთვლიდი, რომ ამ აქციაზე მივსულიყავი და ჩემი სოლიდარობა გამომეხატა, მაგრამ როგორც გითხარით, დამაპატიმრეს. ახლა, საზოგადოების ნაწილი აღშფოთებას რომ გამოთქვამს, უიმე, ეს რა საშინელებააო, რატომ არ იკითხეს – რატომ დამაპატიმრეს იმ აქციაზე? ხულიგანი ვარ? ვინმემ რატომ არ იკითხა, ამ ჩვენმა მსახიობმა რა გააკეთა ისეთი, რომ დააპატიმრეს? რომ ეკითხათ, მერე გაიგებდნენ, რა აქციაზე ვიყავი და ვეტყოდი, რაც ხდებოდა ციხეებში, მაგრამ არ აინტერესებდათ, იცით რატომ, იმიტომ, რომ კომფორტული იყო მათთვის, რომ არ სცოდნოდათ.

***— საზოგადოებაზე ამბობთ?***

— დიახ, სწორედ საზოგადოებაზე. სამიოთხი წლის წინ ყველამ ვიცოდით, რაც ხდებოდა. ვიმეორებ, ვინც დაინტერესებული იყო და გული შესტკიოდა ამ ადამიანებზე, პატიმრების ბედზე და არა მხოლოდ პატიმრების. ასეთივე მდგომარეობა არის ლტოლვილებთან, უსახლკარო, გაჭირვებულ ადამიანებთან დამოკიდებულებაში.

***— საზოგადოებას დააგვიანდა?***

— საზოგადოებას მინდა შევახსენო, ეს გვარები, რომლებიც ახლა დაპატიმრებულები არიან ირმა ინაშვილმა 2 წლის წინ წაიკითხა ერთ-ერთ ასეთ სოლიდარობის მიტინგზე. ეს ადამიანები რასაც სჩადიან, ეს ჩვენ კარგად ვიცით. ცხრა წელია ამ ქვეყანას ბოლშევიკები მართავენ. 20-30-იანი წლების ბოლშევიკები, ეს ცხადია, ცხადია ამ ყველაფერ უბედურებას აკეთებენ, მაგრამ მე იმ საზოგადოების მიკვირს, რომლებიც ახლა აღშფოთდნენ, მაინცდამაინც ეს საზარელი და შემძვრელი კადრები უნდა ენახათ? ამიტომ ცოტა დაგვიანებულიც მგონია და ცოტა მგონია, ნავიდან გადმოხტომის ვარიანტები არის ხშირ შემთხვევაში.

***—საზოგადოება ინდიფერენტული იყო, შემგუებლური პოზიცია ჰქონდა ამ ყველაფრის მიმართ თუ კომფორმისტთან გვაქვს საქმე?***

— კომფორმიზმი არის საქართველოში გამეფებული. ის ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ არ ვიცოდით აქამდე და ახლა ტოვებენ „ნაციონალურ მოძრაობის“ რიგებს, ის ადამიანები, რომლებიც დღე და ღამე ნაციონალურ არხებზე იყვნენ, რომლებიც ახლოს იყვნენ ამ ხელისუფლებასთან, ორდენებს იღებდნენ, საზღვარგარეთ მოგზაურობდნენ მათი მეშვეობით. ეს ადამიანები ახლა გამოთქვამენ აღშფოთებას, ჩაიხედონ თავიანთ შრომის წიგნაკებში აქვთ მათ უფლება, რომ მე მომიწოდონ. ძალიან ძნელია ისაუბრო იმ ადამიანებზე. 26 მაისს ნაკლები კი არ მომხდარა. სხვათა შორის, 26 მაისის ღამესაც იყო გაუპატიურების ფაქტები, მაგრამ ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც 28, 30 ამბობდნენ, რომ ღირსები იყვნენ ესენი, ასე უნდა მოქცეოდნენო. ამიტომ არ მჯერა ამ საზოგადოების, იმ საზოგადოების უმრავლესობის, რომლებიც ახლა გამოთქვამენ ახლა აღშფოთებას. ამიტომ მგონია, რომ ნავიდან გადმოხტომის ვარიანტია, როგორც ჩაძირული გემიდან ხტებიან. თუმცა, მაინც მინდა ვთქვა, რომ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, მაგრამ ყველამ თავის გულში და სინდისში ჩაიხედოს.

***— შეიძლება ეს ბოლო წვეთი იყო, არ უშვებთ ამას...***

— როდესაც გირგვლიანის მკვლელობის ფაქტი მოხდა და საზოგადოების ნაწილი ამ საშინელებას აპროტესტებდა ეს ადამიანები მაინცდამაინც არ აპროტესტებდნენ, თავს არ იკლავდნენ, სიმართლე გაერკვიათ, რა მოხდა. ბუტა რობაქიძის ამბავი მოგვიანებით გამჟღავნდა, მაგრამ არც მაშინაც მოუკლავთ თავი. იმის შემდეგ სხვა უამრავი ფაქტი მოხდა, 6 მაისის ფაქტი დაავიწყდა ამ საზოგადოებას? პოლიციის სამმართველოსთან რაც მოხდა, ის არ იყო საშინელება? ეს არ უნდა ყოფილიყო საშინელება. ან 7 ნოემბერს რაც მოხდა, ეს არ უნდა ყოფილიყო ბოლო წვეთი? 26 მაისზე აღარ მაქვს საუბარი, იქ მართლაც დახოცეს ხალხი ხელებშეკრული, მაგრამ ყურს არავინ არ იბერტყავდა. დღეს გამოდიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ამ ფაქტებამდე მშვიდად იყვნენ, საზოგადოებრივ არხზე გადაცემებიც მიჰყავდათ და მიჰყავთ კიდეც, ნაწილი მათგანი სერიალებში თამაშობდა და თამაშობს კიდეც.

***— თქვენ ამბობთ, ქართველი საზოგადოება ფარისეველია?***

— რა თქმა უნდა, ყოველთვის იყვნენ ასეთი ადამიანები და დღესაც არიან და მომავალშიც იქნებიან, სანამ ჩვენ თვითონ არ ვიტყვით ვინ, ვინ, არის?

***— სტუდენტების აქციებზე რას იტყვით? ისინი ამბობენ, რომ გულწრფელები არიან...***

— ამ სტუდენტების თანატოლები იყვნენ ის ბიჭები, რომლებიც დახოცეს. წარმოუდგენელია არ აინტერესებდათ რა მოხდა? ბუტა რობაქიძე ახლა სწორედ 23-24 წლის იქნებოდა. არ დააინტერესათ, როგორ მოკლეს თავიანთი თანატოლი ბიჭი. გამცემლიძის ამბავი არ აინტერესებდათ? ცოტა დაგვიანებული მგონია, მაგრამ ვიმეორებ, „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“. თუმცა ერთი დიდი კითხვის ნიშანი არის ჩემთვის.

***— რას გულისხმობთ?***

— არის კი ეს გააზრებული და შეგნებული მოძრაობა და პროტესტი. თუ ეს არის შემოგდებული და პროვოცირებული. მე არ მინდა ამ ახალგაზრდებზე ასე ვისაუბრო, მაგრამ ჩემი აზრით ისინი პროვოკაციის მსხვერპლნი არიან. დღეს ეს ახალგაზრდები აბსოლუტურად მართალნი არიან თავიანთ პროტესტში. ამბობენ, რომ ახლა დავინახეთ და ახლა აგვეხილა თვალი, მაგრამ ერთ საშიშროებას ვხედავ, ეს არ იყოს პროვოკაციულად გაკეთებული.

***— ვისი მხრიდან?***

— ვინ აწყობს ჩვენს ქვეყანაში პროვოკაციებს. ვინ არის ყველა უბედურების სათავე. ერთ ფაქტს გეტყვით, რამაც ეს ეჭვი გამიჩინა. პირველ დღეებში ძალიან აქტიურობდა სტუდენტური თვითმმართველობა. თუნდაც, ექვსი თვის წინ ჩაწერილი კადრები რომ ვნახოთმ ისინი საუბრობენ, როგორც თავიანთი ბოსები „ნაციონალური მოძრაობიდან“. წარმოიდგინეთმ ამ გულანთებულ ახალგაზრდებში ესენი არიან შერეულები. რალაცნაირად ამ ყველაფერს ასდის სუნი, რომ ხელისუფლებიდან არის პროვოცირებული. თუმცა, ეს ახალგაზრდები, რომლებიც ქუჩაში არიან აბსოლუტურად მართლები და გულანთებულები არიან. აბსოლუტურად მართლები არიან თავიანთ პროტესტში.

***— ამბობდნენ, რომ წინასაარჩევნოდ კომპრომატების ომი იქნებოდა, მაგრამ მოლოდინს გადააჭარბა შეიძლება ითქვას, რას იტყვით?***

— ვიდეო და აუდიო ჩანაწერი ვიხილეთ. აუდიოჩანაწერთან დაკავშირებით შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის სიბინძურე. როდესაც ყველას და ყველაფერს უსმენენ. ცოლი და ქმარი სასთუმალთან რას საუბრობენ და როგორ უხსიან ერთმანეთს სიყვარულს, ამას რომ უსმენენ, ეს ამაზრზენი ფაქტია, დანაშაულია. ამ ჩანაწერებს სერიოზულად არ ვთვლი. რაც შეეხება პატარკაციშვილის მიერ გადაღებულ კადრებს, ძალიან საინტერესოა. გარდაცვლილია ეს ადამიანი და რთულია მასზე საუბარი. თუმცა, ამორალურად მიმაჩნია სახლში მოსულ სტუმრებს ვიღაც იჭერდეს, ეს იცოდა პატარკაციშვილმა, თუ არ იცოდა, ვერ გეტყვით, მაგრამ რამდენი სუფრა გაიშლება, იმდენი ვიღაცამ ჩაიწეროს, ჩემთვის მიუღებელი და ამორალურია. კომპრომატს ვერ დავარქმევ იმ კადრებს, რომელიც ციხეში არსებულ მდგომარეობას ასახავს. ეს არის მხილება. ეს არის დანაშაულის ამსახველი ფაქტები. ამას კომპრომატს ვერ დავარქმევ. ეს არის სასამართლოსთვის პირდაპირ სამხილი. რაც შეეხება გოგა ხაინდრავასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ მასალას, ამაზე ძალიან ბევრი ვიცინე.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ თვითონ საფრანგეთის მხარე, როგორც გვეუბნებიან, წერს, რომ შიგნით კადრი არ გვაქვს და არც ხმა არ გვაქვს ჩაწერილიო. მხოლოდ სადღაც შესვლის კადრებია ე.ი. გოგას თბილისიდან ბომბეიმდე გვირაბი გაჰყავდა. ბევრი ვიხალისე გოგას კადრებზე. მსგავსი კრეტინიზმი არც შეიძლება ვინმეს თავში მოუვიდეს. სატელეფონო საუბრების მოსმენებზე, როგორც გითხარით, არ ვიცი, ჩაწერილია რეალურად თუ არა, მაგრამ ისეთი ფალსიფიცირება შეიძლება, რომ სიტყვების ისეთი აგება, რომ ეს კარგად იციან ჩვენმა შოუბიზნესის ვარსკვლავებმა, ვარსკვლავებს ბრჭყალებში ვამბობ, რომლებსაც ცოცხალი სიმღერა დაავიწყდათ. პირს რომ აღებენ, ტყუილად.

***— მოვლენების ასე განვითარებას ელოდით?***

— თუ ასეთი ბრიყვი არის ჩვენი საზოგადოება, რომ მაინცდამაინც ეს ამაზრზენი ფაქტები ენახა და მერე გამოფხიზლებულიყო, მაშინ გვეკუთვნის ის, რაც გვჭირს. არა მგონია, ასეთი სიბინძურეებით შეიძლება ხალხის გამოფხიზლება თუ მხოლოდ ეს აფხიზლებს საქართველოს მოსახლეობას, ამომრჩეველს და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია შეიცვალოს აზრი, მაშინ ძალიან ცუდი ერი ვყოფილვართ. შეგვიძლია ელემენტარულად რუკას დავხედოთ, რა იყო სააკაშვილის მოსვლის დროს და რა არის ახლა, ვნახოთ, რამდენი ადამიანი არის საქართველოდან გასული, რამდენი არის სიღარიბის ზღვარს ქვევით, რა აქვს ჩვენს მოსახლეობას შემოსავალი და რა არის გადასახადები.

***— სად ხედავთ გამოსავალს?***

— გამოსავალი არის სამოქალაქო საზოგადოებაში. უნდა ჩამოყალიბდეს სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც წარმმართველი ძალა იქნება ქვეყნის გადარჩენისთვის ბრძოლაში. 21 წლის განმავლობაში, რაც დამოუკიდებლობა მივიღეთ ჩვენ სახელმწიფოებრივი მშენებლობა არ დაგვიწყია. სახელმწიფოს მშენებლობა სწორედ სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა დაიწყოს. ეს პოლიტიკოსები ჩვენგან გამოსულები არიან. რასაც ვიმსახურებთ ისეთი პოლიტიკოსები გვყავს ჩვენ. ისეთივე პოლიტიკა ტარდება ყველა ხელისუფლის მიერ. სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობაშია გამოსავალი, გულწრფელად გულანთებული ხალხის ნებაში, სანამ ასეთი საზოგადოება არ ჩამოყალიბდება მე არ მაქვს გარანტია, რომ მომავალში არ გამოჩნდება რომელიმე ხელისუფალი, რომელიც ტყუილითა და დაშინებით ისევ დაიმონებს სახელმწიფოს და სახელმწიფო აღარ იქნება სახელმწიფო, არამედ კრიმინალური ბანდის სათარეშო ასპარეზი. მე მიმაჩნია, რომ ბრძოლა არის საჭირო, რადგან ჩვენ უნდა მოვიპოვოთ ჩვენი თავის – უფლება და არა ხელის – უფლება. ხელი თავის გარეშე არ არსებობს, თავი კი ხელის და ფეხის გარეშეც არსებობს. თავისუფლება უფრო დიდია, ვიდრე ხელისუფლება. თავისუფალმა ადამიანებმა ის ხელისუფლება უნდა მოიყვანონ, რომელიც ქვეყანას და სახელმწიფოს გამოადგება.

# ქართულ ციხეებში არსებულმა ვითარებამ ბრაიზაც შეაშფოთა

ნათია ხურცილავა

**ამერიკელი დიპლომატი მეთიუ ბრაიზა ციხეში არსებული წამების ფაქტების ამსახველი კადრების გავრცელებას ეხმაურება. როგორც ბრაიზა აცხადებს, სააკაშვილს მოუწევს თავისი ამომრჩევლის დარწმუნება იმაში, რომ ის რეალურად შეძლებს ციხეში არსებული სიტუაციის აღმოფხვრას და რომ ამის სურვილი რეალურად არსებობს ამ ხელისუფლებაში და უშუალოდ პრეზიდენტს სურს ეს.**

მეთიუ ბრაიზა ამ ხელისუფლების სერიოზულ ლობისტად ითვლებოდა. ამის შესახებ არაერთგზის იქნა ბრაიზა გაფრთხილებული თუ დადანაშაულებული.



– ციხის სკანდალი პრეზიდენტ სააკაშვილის მთავრობისთვის სერიოზულ დარტყმას წარმოადგენს, – ამის შესახებ „ბლუმბერგთან“ სატელეფონო საუბარში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე ევროპულ და ევრაზიის საკითხებში მეთიუ ბრაიზა აცხადებს.

როგორც სტატიაშია ნათქვამი, ბრაიზა ფიქრობს, რომ სააკაშვილს მოუწევს ამომრჩეველი დაარწმუნოს, რომ ციხეში არსებული პრობლემების მოგვარებას მართლა აპირებს.

– ციხის სკანდალი პრეზიდენტ სააკაშვილის მთავრობისთვის სერიოზულ დარტყმას წარმოადგენს. როგორც ჩანს, სააკაშვილმა გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯები ამ საკითხის მოსაგვარებლად, მაგრამ მას მოუწევს ამომრჩეველი დაარწმუნოს, რომ მართლაც აპირებს ამას, – აცხადებს ბრაიზა.

სტატიის ავტორები მიიჩნევენ, რომ სახალხო აღშფოთებამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ თბილისის ქუჩებში რუსეთთან დაკავშირებული მილიარდერის შანსები ამ არჩევნებში გაზარდა.

„ბლუმბერგმა“ ქართველი პატიმრების წამების საკითხზე სტატია შემდეგი სახელწოდებით გამოაქვეყნა: „სახალხო აღშფოთებამ რუსეთთან დაკავშირებული მილიარდერის საარჩევნო შანსები გაზარდა“.

სტატიის მიხედვით, საზოგადოების აღშფოთებამ, რომელიც ქართულ ციხეში პატიმართა წამების ამსახველ ვიდეოს მოჰყვა, ეჭვქვეშ დააყენა ამერიკის მოკავშირე პრეზიდენტ სააკაშვილის ცხრაწლიანი მმართველობის მომავალი კარსმომდგარ არჩევნებში.

როგორც საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“ წერს: მასალის ავტორები, ჰელენ ბედველი და ჰენრი მაიერი აღნიშნავენ, რომ როცა პრეზიდენტ სააკაშვილის პარტია უკანასკნელი გამოკითხვების მიხედვით 20 პროცენტით უსწრებდა თავის ძირითად ოპონენტს, 18 სექტემბერს გამოქვეყნებულმა წამების ამსახველმა ვიდეომ მასობრივი პროტესტი გამოიწვია.

– ოპოზიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა კი, რომელსაც მთავრობა რუსეთთან კავშირში დებს ბრალს, საზოგადოებას სააკაშვილის მმართველობის დასრულება აღუთქვა. ივანიშვილის ამ ნაბიჯმა გაზარდა მომავალ არჩევნებში მისი პარტიის გამარჯვების შანსები, თუმცა პირველ საზოგადოებრივი აზრის პირველი გამოკითხვა მხოლოდ დღეს გამოქვეყნდა, – აღნიშნულია „ბლუმბერგის“ სტატიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

## ღირსეულებს შეუძლიათ ხელი ჩამოართვან მოწინააღმდეგეს და მიულოცონ გამარჯვება



## ურთიერთპატივისცემას მოაქვს ნდობა

www.cesko.ge

თამარ ნინიძე

# თამაზ ელიზბარაშვილი: პატიმრებს ციხეში რიგრიგობით სძინავთ!

**ბიზნესმენი და ყოფილი პატიმარი თამაზ ელიზბარაშვილი 'ახალ თაობას~ უამბობს წამების ფაქტებზე, რომელიც ხდებოდა გლდანის საპყრობილესა და ქუთაისის ციხეში.**

– 2010 წლის ხუთ ივნისს მოვხვდი გლდანის მერვე საპყრობილეში. კარანტინის ოთახში რკინის ექვსი საწოლია, არ არის არც ლეიბი, არც საბანი, არც ბალიში. ამ ოთახში რიგრიგობით გვქონდა საშუალება, სამ-სამი საათით დაგვეძინა, იქ ძილი შეუძლებელია, მაქსიმუმ 48 საათი გააჩერონ პატიმარი კარანტინის ოთახში, მერე გაჰყავთ საკნებში, სადაც ყველა პატიმარს თავისი საწოლი აქვს. კარანტინის ოთახში ფანჯარა, ფაქტობრივად, არ არის, მიწის პირას არის პატარა ფანჯარა, ოცდაორი პატიმარი იმყოფება ამ ოთახში, შუქი ოცდაოთხი საათის განმავლობაში არ ქრება, ერთი ტუალეტია, სადაც მუდმივად ისმის ონკანიდან წყლის ჩხრიალი, რაც ძილის საშუალებას არ აძლევს პატიმრებს. არ არის ჰიგიენის საშუალება, მხოლოდ სარეცხის საპონია, არ არის კბილის ჯაგრისები და პასტები, პატიმარს არ გააჩნია არც თეფში, არც ჩანგალი და კოვზი, არის ერთი „კრუშკა“, რომელიც არ იცვლება და არის საშინლად ბინძური. როცა დილით ჩაის მოწოდება ხდება, ეს ოცდაორი პატიმარი რიგში დგება, ამ ექვსი ჭიქით უნდა დალიოს ამდენმა პატიმარმა. ყოველ ოცდაოთხ საათში ხდება პატიმრების საკნებში განაწილება. მე ამ მთავრობის განსაკუთრებული პატიმარი ვიყავი.

***– 2010 წელს რომ დაგაკავეს, ახლა გაგათავისუფლეს?***

– არა, გირაოთი ვარ გამოსული. ჯერ ჩემი საქმე სასამართლოში არ დამთავრებულა, ორი წელი და რამდენიმე თვეა გასული. სასამართლო შეჩერებულია. კარანტინის საკანი ხომ ცარიელდება, როცა პატიმრები გადაჰყავთ საკნებში, მერე ახალი პარტია პატიმრები შეჰყავთ კარანტინის საკანში. უკვე შუადღემდე ივსება ოცდაორი პატიმრით კარანტინის ოთახი. საღამოს ხდება კარანტინის დაშლა და პატიმრების აყვანა მათ საკნებში, ოცდაერთი პატიმარი რომ გავიდა, „კარმუშკა“ დაიხურა და მე საკანში არ ამიყვანეს. მარტო დავრჩი, კარანტინის ოთახიდან შემიყვანეს ე.წ. ფუქსში, შენ საშიში დამნაშავე ხარ და ამ კამერაში უნდა იყოო. ვთხოვე, დამაბრუნეთ კარანტინის ოთახში, დავწვები მაინც, იმიტომ რომ ამ ფუქსის ოთახში საწოლები არ იყო, არც ფანჯარაა, მხოლოდ გისოსიანი კარია, რომელიც დერეფანში გადის. მთელი ღამე გამატარებინეს ამ კამერაში, მერე ისევ შემიყვანეს კარანტინის ოთახში და შეიყვანეს ოცდაერთი კაცი, მერე ეს პატიმრები ისევ აიყვანეს კამერებში, მე კი ისევ მომათავსეს ფუქსის კამერაში. იძულებული ვიყავი, იატაკზე დავწოლილიყავი. ფუქსის ოთახში საშინელი სუნი იდგა, ყველაფერი ყარდა. ფუქსის ოთახში დერეფნიდან შედიოდა მხოლოდ შუქი, ვილაცას ტუალეტი ჰქონია გაკეთებული. ბატონო, ასე თუ არ მიმართე, გცემენ, დავუძახე, ბატონო კონტროლიორო, აქ ვილაცას მოუსაქმია და აქედან გამიყვანეთ-მეთქი. უნდა იგრძნო, სად ხარო, აქ დარჩებიო. რაღა უნდა მეთქვა. მერე ისევ კარანტინის საკანში შემიყვანეს, ისევ შეივსო პატიმრებით, ჩემი ჭიქა დავიჭირე და კარგად გავხეხე. ერთი თეფშით შემოაქვთ რაღაც საშინელი საჭმელი, ჩანგლის გარეშე, თითებით ჭამენ პატიმრები. მეშვიდე დღეს გამოვაცხადე შიმშილი, მივხვდი, რომ ჩემი სამაგალითო დასჯა უნდოდათ. ჩემი შიმშილობის მიზეზი ის იყო, რომ ვითხოვდი, კბილის საწმენდი საშუალება მომეცით-მეთქი. დილის ექვს საათზე იღება „კარმუშკა“, რამდენი პატიმარიც არის, იმდენი პური შემოდის. როცა პურზე უარი ვთქვი, მომკიდეს ხელი და შემაგდეს ფუქსის საკანში. შუაღამისას იღება ფუქსის კამერის კარი და ვხედავ, ჩემ წინ ოფიცერი დგას. ამოიღო ჯიბიდან კბილის ჯაგრისი, წამოდი და კბილი გაიხეხეო. გამომართვა კბილის ჯაგრისი და პასტა და ისევ ჩაიდო ჯიბეში. თავისი მორიგეობის დროს მაძლევდა ამ ჯაგრისს. ამის გამო იმ ოფიცერმა გარისკა. იქ ყველა თანამშრომელს აკრძალული აქვს პატიმართან ნორმალურად დალაპარაკება, სადამსჯელო სამსახურია, ჯალათები არიან, რომლებიც ასევე სცემენ კონტროლიორებსა და თანამშრომლებს, რომლებიც პატიმარს ნორმალურად დაელაპარაკებიან. ყოველდღიური ნორმა იყო პატიმრების ცემა, დედის, შვილის, ცოლის გინება ისე იყო, როგორც „გამარჯობა“. ფუქსის კამერის გისოსებიანი კარიდან დერეფნის გარკვეულ პერიმეტრზე ხედავ, რა ხდება, ყველგან კამერები დგას. დღე არ გავიდოდა, ღამით ფუქსის კამერაში მათენებინებდნენ და ყოველ ღამე ხდებოდა ჩემ თვალწინ პატიმრების ცემა და წამება, განსაკუთრებით ახალგაზრდა პატიმრების. მოითხოვდნენ, ქურდებს შეაგინე, დედა შეაგინეო. ეს კადრები მინდა დავივიწყო, მაგრამ არ მავიწყდება. სიმწრისგან ტუჩებს ვიკვნეტდი, იმდენად შოკისმომგვრელი ფაქტები იყო, როცა უმწეო ახალგაზრდა ბიჭებს სცემდნენ და მე ვერაფრით ვეხმარებოდი.

***– თქვენ მიმართ იყო მსგავსი ძალადობა გამოყენებული?***

– კი ბატონო, მოგახსენებთ. ერთხელ მაგრამ მცემეს, ბოლოს და ბოლოს, მეთხუთმეტე დღეს ამიყვანეს ჩემს საკანში. არანაირი საშუალება არ არის წვერის გაპარსვის, დაბანის, სრული ჯოჯოხეთია. აწევა საკნებში ასე ხდება: ყველა პატიმარს დერეფანში აყენებენ, ხელები უკან უნდა ჰქონდეთ აწეული, კედელთან აყენებენ, თავი დახრილი უნდა ჰქონდეთ. როგორც იმ ვიდეოკადრებში იყო, თითოეულ პატიმარს იძახებენ და ეს ჯალათები სცემენ, თუ ვინმეს მძიმე მუხლი აქვს მისჯილი, იქ მხოლოდ სილითა და ხელის გარტყმით არ მთავრდება ყველაფერი, უნდა გაგიგდონ და მაგრად გცემონ წიხლებით. თუ მსუბუქი მუხლი გაქვს მისჯილი, ყველა ვარიანტში ერთი სილა მაინც უნდა გაგარტყან. ახლა შენ კარანტინიდან საკანში ადიხარ და მე შენს ცოლთან უნდა დავწვეო, ეუბნებიან პატიმარს, ასეთი დამცირება ხდებოდა მუდმივად. იმისთვის მსჯიდნენ, რომ ჩემი პატიმარი შვილის სიცოცხლის გადარჩენისთვის ვიბრძოდი. ჩემი დასჯა იმიტომ გადაწყვიტეს, რომ საპროტესტო აქციებში ვმონაწილეობდი, 2003 წელს ჩემი წვლილი მქონდა შეტანილი იმაში, რომ ესენი ხელისუფლებაში მოთრეულიყვნენ. ფინანსურად და ცოცხალი ძალით ვეხმარებოდი. ჩემი შვილის ეტაპირება როცა ხდებოდა ერთი ციხიდან მეორეში, მე ჩემს შვილებს ვასწავლი ვაჟკაცობასა და სიყვარულს. იმ სიტუაციაში როცა ხდებოდა ცემა, ხელის შებრუნება შეუძლებელი იყო, იმიტომ რომ მოგკლავდნენ ცემით. ოთხმოცდაორი ჭრილობა აქვს ჩემს შვილს მიყენებული 2005 წლიდან დღემდე, ყოველი ცემის შემდეგ ვერ პასუხობდა უსამართლო ცემაზე, მუცელი, ყელი გამოიჭრა ჩემმა შვილმა, ხელები დაისერა, როცა არც შუშა იყო, რომ ჩაემსხვრია და საკუთარი თავისთვის ზიანი მიეყენებინა, კბილებით იგლეჯდა ვენებს. დიდხანს ერთ ციხეში პატიმარს არ აჩერებენ, გლდანის ციხიდან გადაიყვანეს ქუთაისის ციხეში 2009 წელს. წამლებზეა ბავშვი, მკურნალობს. იმ დილით, როცა გადაჰყავდათ, წამლები არ დაულევია. ჯერ გამოსვლის დროს ხომ სცემეს ბავშვს, მერე გაატარეს ყველა პატიმარი დერეფანში, ჯალათები ხელკეტებით სცემდნენ, არ უნდა გაიქცე ამ სადამსჯელო დერეფნის გასვლის დროს, უფრო მაგრად გცემენ. ავად ვარ, წამლებს ვიღებ და არ დამარტყათ, მოვკვდებიო, სცემეს და ამაზე ხელი შეუბრუნა, ხელის შებრუნება ასე არ უნდაო, ჰაერში ჰყავდათ ჩემი შვილი, კინაღამ მომიკლეს, ამის გამო დავწერე საჩივარი, პროკურატურაში შევიტანე. ბადრაგის დასჯის ნაცვლად ჩემს შვილს კიდევ თერთმეტი წელი დაუმატეს. სასამართლოზე როცა მოვითხოვე იმ კადრის ამოღება, ცემით მიკლავდნენ შვილს-მეთქი, ტექნიკური მიზეზების გამო ის ფირი წაიშალაო, მითხრეს ცინიკურად.

***– მანამდე თქვენს შვილს რამდენი ჰქონდა მისჯილი?***

– 21 წელი ჰქონდა მისჯილი და დაუმატეს. სტრასბურგში შევიტანე საჩივარი, მერე ამათი მხრიდან წამოვიდა მუქარები, მოთხოვნები, საპროცესო გარიგებით შევუმცირებთ ამ თერთმეტ წელსო. მეტი გამოსავალი არ მქონდა, გამოვიტანე სარჩელი. როგორც კი ეს გავაკეთე, მეორე დღეს დამიჭირეს მე, დაიჭირეს ჩემი შვილის ცოლი, ოცდაოთხი წლის გოგო, ექვსი წლის ბავშვი მოაგლიჯეს დედამისს.

***– თქვენს რძალს რაღას ერჩოდნენ?***

– ჩემი რძალი იურისტია. მკურნალობის კურსის ჩატარებას ვითხოვდი ჩემი შვილისთვის, იყო საშიშროება, რომ დაინვალიდებულიყო. ეს ნაძირალა ექიმი ამათთან იყო შეკრული. კერძო ექსპერტიზაზე შევიტანე მოთხოვნა. ექიმის გვარია ხარებავა. თურმე ეს ხარებავა დაჭერილი ჰყავდა პროკურატურას თაღლითობაზე, ამუშავეს ჩემი ოჯახის წინააღმდეგ. ჩემი რძალი იყო მისი ქმრის ადვოკატი. მკურნალობის კურსის დანიშვნას ითხოვდა მისი მეუღლისთვის. ჩემი რძალი გავაფრთხილე, ამათგან ყველაფერია მოსალოდნელი და ძალიან ფრთხილად იყავი-მეთქი, ხელშეკრულებას რომ გააფორმებ ექსპერტიზის ბიუროსთან, ქვითარი გამოართვი, ზუსტად დააფიქსირე ის თანხა, რომელსაც იხდი-მეთქი. ობიექტური ექსპერტიზა მინდა ჩაუტარდეს, რომ მერე მე ვიდავო, რათა სწორი მკურნალობის კურსი ჩაუტარდესო, ხარებავას უთხრა ჩემმა რძალმა. ხარებავამ შესთავაზა, იქნებ დავამძიმოთ ჯანმრთელობის მდგომარეობა და ეს გავაფორმოთო. ჩემმა რძალმა უარი უთხრა, როგორც არის რეალურად, ისე დაწერეთო. სულ ორი ათასი ლარი იყო გადასახდელი ოფიციალურად. ეს ფული რომ მიიტანა ჩემმა რძალმა, გავაფრთხილე, ჩეკი გამოართვი-მეთქი. ხვალ მოგცემ ჩეკსო, ექიმმა უთხრა, ფული მისცა და საღამოს ქრთამის შეთავაზების საფუძველზე დამიჭირეს მე, ჩემი რძალი, მისი მამა და ჩემი ბავშვობის მეგობარი. კომერციულ მოსყიდვას ვახდენდით ექიმი ფსიქიატრისა. აი, ეს იყო ჩემი დაკავების მიზეზი.

მინდა, საოცარი რამ გითხრათ. ხომ გახსოვთ, გიამბეთ ოფიცერზე, რომელმაც კბილის პასტა და ჯაგრისი შემომიტანა-მეთქი, ეს იყო ლადო ბედუკაძე, რომელმაც ეს ფირები გაავრცელა. ამ კაცმა მაგრძნობინა, რომ კიდევ არიან ადამიანები ამქვეყანაზე. ჩემთვის ეს ძალიან ღირებული და დიდი რამ იყო, მაგრძნობინა, რომ სიკეთე შეიძლება ადამიანმა ადამიანს გაუკეთოს. არ უნდოდა, ჩემთვის ეთქვა სახელი და გვარი, ასეთი კეთილშობილი ბიჭია. ერთი წლის შემდეგ როცა გამოვედი ციხიდან, დამირეკა, ლადო ვარ, ბატონო თამაზო. რომელი ლადო, ვერ გავიხსენე პირველ წუთს. გამახსენა თავი, მინდა, ჩაგეხუტო-მეთქი. არაო, ჩემი ერთი მეგობარია, ბიზნესწინადადება აქვს და მინდა, შეგახვედროთო, მითხრა. შევხვდით. ლადოს ორი შვილი ჰყოლია, ამ საუბრის დროს გავიგე, ლადოს მეგობარმა მითხრა, კარანტინის საკანში ვიყავი და, ლადო რომ არ ყოფილიყო, მოვკვდებოდიო, სუნთქვა მიჭირდა, ლადომ თავის ოთახში გამიყვანა მორიგეობის დროს ჰაერზე და ჩაიც დამალევინაო. მე ვუთხარი ლადოს, მინდა, შენმა შვილებმა იცოდნენ, როგორი კაცი ხარ, ყველამ იცის, რა ხდება ციხეებში, მინდა, შენს შვილებს სტიპენდია დავუნიშნო ას-ასი ლარის ოდენობით, ბანკში ანგარიში გავუხსენი-მეთქი. შენი შვილები რომ გკითხავენ, საიდან ეს ფულიო, გაიგებენ, რომ ასეთი სიკეთე გამიკეთე, მინდა, შენმა შვილებმა შენით იამაყონ-მეთქი. ლადომ კატეგორიული უარი მითხრა, ეს ჩემი სულიერი მოთხოვნილებაა, ეს უნდა გავაკეთო-მეთქი, ვუთხარი. პლასტიკურ ბარათზე ჩავურიცხე მის ხელფასზე, ერთი წელი ას-ასი ლარის ოდენობით ჩავურიცხავ შენს შვილებს ამ თანხას-მეთქი, ვუთხარი. ვუხდიდი თანხას ორას ლარს დღემდე, სექტემბრის დასაწყისშიც კი ჩავურიცხე. მადლობას მიხდიდა, ესემესით მოდიოდა „საქართველოს ბანკიდან“ შეტყობინება თანხის ჩარიცხვაზე. ბოლო თვეს მისგან არანაირი შეტყობინება აღარ მომსვლია, ვფიქრობ, მორიდებული კაცია, გადავურეკავ, მაგრამ თან ვფიქრობდი, კაცმა სიკეთე გამიკეთა, ხომ არ უნდა შევაწუხო-მეთქი. „საქართველოს ბანკის“ ოპერატორთან გარკვევა მინდოდა, ამ ინფორმაციის გაცემაზე უარი მითხრეს. მერე გავიგე, თურმე საქართველოდან წასულია, თავშესაფარს ითხოვს ბელგიაში. ამიტომ დაინტერესდა ჩემით პროკურატურა, რადგან თანხას ვურიცხავდი ლადოს, ე.ი. შეხება მქონდა ამ ვიდეოკადრებთან.

***– კონკრეტულად თქვენ რა სახის წამების მოწმე იყავით ციხეში?***

– იმ კორპუსის გვერდით, სადაც პატიმრების საკნებია, არის ე.წ. რეზბალნიცა, ციხის საავადმყოფო, ადმინისტრაციული კორპუსი სადაც არის, იქ პაემნის ოთახებია ადვოკატებისთვის, პატიმრების ახლობლებისთვის, ბადრაგს გადაჰყავხარ საკნიდან. ადმინისტრაციულ კორპუსში მესამე სართულზეა ადვოკატების ოთახი. ადვოკატთან შეხვედრის შემდეგ ბადრაგს გადაჰყავხარ ისევ საკანში. ოფიცერთა ოთახია ფანჯრით, ამ ოთახში ახალგაზრდა ბიჭი ჰყავდათ, კლავდნენ, ისე სცემდნენ, ეს ბიჭი ბოლო ხმაზე ყვიროდა, ღმერთო, მიშველეო, ფანჯარას ასხამდა მისი სისხლი, არ დამავიწყდება ეს კადრები, ამის შემხედვარემ დავიყვირე, რას შვრებით, თქვე ულმერთოებო-მეთქი, გამიგდეს წიხლქვეშ და მაგრად მცემეს, შემაგდეს მერე ჩემს კამერაში. ის ბავშვი ვერ გადარჩებოდა, სახეზე ყველა ამ ჯალათს ვიცნობ, კონტროლიორები და ოფიცრები ამაში ნაკლებად მონაწილეობდნენ, სპეციალური უშიშროების სამსახური იყო, ყველა კორპუსს თავისი ბრიგადები ჰყავდა, ისინი აწამებდნენ პატიმრებს. მთელი დღე საკანში ხარ, რა უნდა გააკეთო, ან უნდა ილაპარაკო, ან წიგნი წაიკითხო, ან ჭადრაკი ითამაშო. თუ გაიცინე, დამთავრებული ამბავია, კონტროლიორმა თუ გაიგო ოდნავი ხმაური, უნდა მოახსენოს ამ ბრიგადებს, შემოდიან ეს ჯალათები რეზინის ხელკეტებით, განურჩევლად იმისა, ვინ გაიცინა, საკანში მყოფ ყველა პატიმარს უმოწყალოდ სცემენ. მერე ეს საკანი იცლება, პატიმრები სხვადასხვა საკანში გადაჰყავთ, ჯოჯოხეთია. ეს ფიქსირდება ვიდეოთვალის საშუალებით. ამას უყურებს ციხის ადმინისტრაცია და არა მარტო ის, დეპარტამენტი და იმის ზევით ყველა. ამათი შემოღებულია ეს წამება. რა, არ იციან? ყველაფერი იციან შესანიშნავად. სამოცდამეექვსე საკანში ვიყავი, ჩემი საკნის ფანჯრები უყურებდა არასრულწლოვანთა კორპუსს. ერთ დღეს მესმის წივილ-კივილი, საღამო იყო, ღამის ათ საათზე შუქი ჩამქრალი იყო, მივედი ფანჯარასთან, ოთხ-ოთხი პატიმარი მოჰყავდა ბადრაგს, ცემა-ტყეპით მოჰყავთ, როგორც გავიგე, თურმე ერთი ადგილიდან მეორეში მიჰყავდათ. მთელი ღამე ისმოდა ეს კივილი. თუ რომელიმე წაიქცეოდა, უარესად სცემდნენ, წიხლებს ურტყამდნენ. ჩემი თვალით მაქვს ნანახი. პატარა ბიჭები ცოტა უფრო მაგრები არიან, სხვა თაობაა, ყოველ ღამე მესმოდა არასრულწლოვანთა კორპუსიდან ცემისა და კივილის ხმა. თავს არ უხრიდნენ ეს ბავშვები და პროტესტს გამოთქვამდნენ. ყველა დედას მივმართავ, რომელსაც არასრულწლოვანი შვილი ჰყავს ციხეში. გამორიცხულია, რომ ძალადობა არ ხორციელდებოდეს თითოეულ მათგანზე. ჩემს ავადმყოფ შვილს ვინც სცემა, დაიჭირონ ის ჯალათები და აღადგინონ სამართალი. ესენი რისი გამკეთებლები არიან.



**ჩემმა შვილმა ციხეში ყელი გამოიჭრა**

***– ყველა საპყრობილეში უნდა შეიცვალოს თანამშრომლების კონტინგენტი?***

– რას ამბობთ, ეს ვერ უშველის ამ ძალადობას, ეს ხელისუფლება უნდა წავიდეს, რომლის დანერგილიც არის ეს წამება. არ მჯერა, რომ ტულუში რეფორმას გაატარებს. რისთვის დამსაჯეს, რომ პროტესტს გამოვთქვამდი გირგვლიანის, ვაზაგაშვილის, რობაქიძისა და სხვათა შვილების მკვლელობის გამო? სტუდენტებს მინდა მივმართო – 1989 წელს რუსის ნიჩბებს არ შევუშინდი. მე ვიცი, რა არის ბრძოლა თავისუფლებისთვის. დღეს რომ ეს სტუდენტები ცხოვრობენ დამოუკიდებელ საქართველოში, ჩემი და ჩემნაირი კაცების მოტანილია ეს თავისუფლება. დღეს თუ ვინმე ამ აღვირახსნილ ტერორს შეეგუება, არ ვიცი. ჩემს ზურგზე მაქვს გამოცდილი ამ სისხლიანი რეჟიმის ძალადობა. გაუპატიურების ფაქტები ჩემი თვალით არ მინახავს, მაგრამ ცემა მინახავს. ის ბავშვი, რომლის სისხლი ფანჯრებს ესხმოდა, დარწმუნებული ვარ, ცემით მოკლეს. ვიდეოთვალები იმიტომ დააყენეს, რომ ეკონტროლებინათ საკუთარი თანამშრომლები, აბა, გაბედავდა რომელიმე მათგანი და პატიმარს ნორმალურად გინების გარეშე დაელაპარაკებოდა. ციხის ჯოჯოხეთი გირგვლიანის მკვლელებს არ გაუვლიათ.

***– გავრცელდა ინფორმაცია, რომ გლდანის ციხის თანამშრომლები, რომლებიც წამებაში მონაწილეობდნენ და ახლა დაპატიმრებული არიან, კარგ პირობებში ჰყავთ.***

– დარწმუნებული ვარ, ასე იქნება. არც ესენი დაისჯებიან საკადრისად. ამათ ხომ ღირსება არა აქვთ. უნდა გადამდგარიყო უმაღლესი ხელისუფლება, პასუხისმგებლობა უნდა აეღოთ თავზე. იმდენი ბოროტება და სიბინძურე აქვთ გაკეთებული, რომ აუცილებლად მოხვდებიან განსასჯელის სკამზე, როცა ქვეყანა დალაგდება და დამშვიდდება. ვიდეოკამერის წინ ჩანაწერი გავაკეთე, რომ იმ შემთხვევაში, თუ პროკურატურა დამაკავებს ცრუ ბრალდებით, თითქოს შეთქმულებაში ვმონაწილეობდი ლადო ბედუკაძესთან ერთად, ქვეყანა შეიტყობს სიმართლეს. ვაფრთხილებ ყველას, ჩემს შვილს თმის ერთი ღერიც რომ ჩამოუვარდეს, პასუხისმგებლობა ეკისრება ამ ხელისუფლებას. ჩემმა შვილმა რაც ჩაიდინა, ამის გამო ის აგებს პასუხს, იჯდება ციხეში და თავის ვადას მოიხდის, არა აქვს მნიშვნელობა, რომელი ხელისუფლების პირობებში, მან დანაშაული ჩაიდინა და ის კაცურად იქნება იქ, მაგრამ ჩემ გამო მას ძალადობა არ უნდა შეეხოს. კიდევ ერთხელ მინდა, ბოდიში მოვუხადო იმ ოჯახს, რომელსაც ჩემმა შვილმა დიდი ტკივილი მიაყენა. მე მივედი მათთან და ვუთხარი, თუ ჩემი სიკვდილი შვებას მოგგვრით, ახლავე ვიტყვი უარს სიცოცხლეზე-მეთქი. ეს ჯალათები საწყალი ხალხია. კაცი რომ ხელს მოაწერს თავისუფლებადაკარგული პატიმრის წამებას, ის საწყალია, ფსიქიკა აქვს დარღვეული. დარწმუნებული ვარ, სამართლიანი სასამართლო იქნება და ყველას პასუხს მოსთხოვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცესკო

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

## 2012 წლის 1 ოქტომბერს ტარდება:

## საქართველოს პარლამენტის არჩევნები

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები

საარჩევნო უბანზე მისვლისას თან იქონიეთ საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა/ID ბარათი ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე - დევნილის მოწმობა), ხოლო თუ ხართ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე, თან იქონიეთ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქის პასპორტი

პარლამენტის არჩევნები 2012

## ხმის მისაცემად აუცილებელი პროცედურები:

- ნაკადის მომწესრიგებელთან გაიარეთ მარკირების შემოწმების პროცედურა

**ყურადღება!**
თუ აღმოჩნდება, რომ არ გაქვთ მარკირება, ვერ შეძლებთ კენჭისყრის შენობაში შესვლას და კენჭისყრაში მონაწილეობას

- რეგისტრატორთან გაიარეთ მარკირების პროცედურა

**ყურადღება!**
მარკირებაზე უარის თქმის შემთხვევაში ვერ შეძლებთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას

- ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ ხელმოწერით დაადასტურეთ ბიულეტენ(ებ)ის მიღება
- მიიღეთ რეგისტრატორის მიერ ხელმოწერილი და რეგისტრატორის ბეჭდით დამოწმებული ბიულეტენ(ებ)ი
- შედით ფარული კენჭისყრის კაბინაში, გააკეთეთ არჩევანი, შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი სუბიექტის რიგითი ნომერი და გადაკეცეთ ბიულეტენ(ებ)ი ისე, რომ არ ჩანდეს, თუ ვის მიეცით ხმა\
- სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში
- ხმის მიცემის შემდეგ დატოვეთ საარჩევნო უბანი

ცესკოს ცხელი ხაზი: 251 00 51

www.cesko.ge

# ლონდონში არისტოკრატებს მეთოფეები ხვდებიან



## ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 29.09 | არსენალი–ჩელსი | 2.25 | 3.1 | 3.4 |
| 29.09 | რედინგი–ნიუკასლი | 3.0 | 3.0 | 2.5 |
| 29.09 | სანდერლენდი–უიგანი | 2.1 | 3.1 | 3.75 |
| 29.09 | სტოკი–სუონსი | 1.95 | 3.1 | 4.33 |
| 29.09 | ევერტონი–საუთჰემპტონი | 1.44 | 4.2 | 7.5 |
| 29.09 | ნორვიჩი–ლივერპული | 4.8 | 3.2 | 1.83 |
| 29.09 | ფულემი–სიტი | 4.5 | 3.1 | 1.91 |
| 29.09 | მანჩესტერი–ტოტენჰემი | 1.61 | 3.6 | 6.0 |
| 30.09 | ასტონ ვილა–ვესტ ბრომვიჩი | 2.5 | 3.0 | 3.0 |
| 01.10 | ქპრ–ვესტ ჰემი | 2.15 | 3.1 | 3.6 |

**არსენალი–ჩელსი**

არსენალი: ***ტრავმ***–ტომას ვერმალენი, ვოიცეხ სჩესნი, ლუკაშ ფაბიანსკი, ბაქარი სანია, ტომაშ როსიცკი, ჯეკ უილშირი

ჩელსი: ***ტრავმ***–ფრენკ ლამპარდი(?), დანიელ სტარიჯი

**რედინგი–ნიუკასლი**

რედინგი: ***ტრავმ***–ადამ ფედერეკი, ჯეისონ რობერტსი

ნიუკასლი: ***ტრავმ***–სტივენ ტეილორი, ტიმ კრული, დენი სიმპსონი

**სანდერლენდი–უიგანი**

სანდერლენდი: ***ტრავმ***–სებასტიენ ლარსონი, ფრეიზერ კემბელი, ვესლი ბრაუნი, ფილიპ ბიორდსლი

უიგანი: ***ტრავმ***–ფრანკო დი სანტო, ანტოლინ ალკასარი

**სტოკი–სუონსი**

სტოკი: ***ტრავმ***–ჯონათან ვალტერსი, ჯიმი ნესი

სუონსი: ***ტრავმ***–პაბლო ერნანდესი, კიმი აუგუსტინი, ნილ ტეილორი

**ევერტონი–საუთჰემპტონი**

ევერტონი: ***ტრავმ***–ტონი ჰიბერტი, დარონ გიბსონი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***–ემანუელ მაიუკა, ჯეკ კორკი

**ნორვიჩი–ლივერპული**

ნორვიჩი: ***ტრავმ***–ჰარი კანი, სებასტიან ბასონგი, სიმონ ლაპინი

ლივერპული: ***ტრავმ***–მარტინ კელი, ფაბიო ბორინი, დანიელ აგერი, ლუკას ლეივა, ჯო კოული

**ფულემი–სიტი**

ფულემი: ***ტრავმ***–ქერიმ ფრეი, მაჰამადუ დიარა, კირონ რიჩარდსონი, სიმონ დევისი, ფილიპ სენდეროსი

სიტი: ***ტრავმ***–მაიკონი, სამირ ნასრი, მიკა რიჩარდსი

**მანჩესტერი–ტოტენჰემი**

მანჩესტერი: ***ტრავმ***–ანტონიო ვალენსია, ნემანია ვიდიჩი, რაფაელი, ეშლი იანგი, ფილ ჯონსი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***–ჯეკ ლივერმური, ემანუელ ადებაიორი, ბენუა ასოუ–ელოტო, იუნის ქაბული, სკოტ პარკერი

**ასტონ ვილა–ვესტ ბრომვიჩი**

ასტონ ვილა: ***ტრავმ***–სტივენ აირლანდი, გარი გარდნერი, რიჩარდ დანი, სტილიან პეტროვი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***–ლიამ დირვეილი, ჯეიმს მორისონი, გორან პოპოვი, სტივენ რიდი, ჯერომ ტომასი

**ქპრ–ვესტ ჰემი**

ქპრ: ***ტრავმ***–ალეხანდრო ფორლინი, ჟოსე ბოსინგვა, ადელ ტააბარტი, არმანდ ტრაორე, ფაბიო, ენდრიუ ჯონსონი, ანტონ ფერდინანდი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***–გარი ონილი, ენდი კეროლი, ჯეკ კოლისონი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 5 | 4 | 1 | 0 | 9:2 | 13 |
| 2.მანჩესტერი | 5 | 4 | 0 | 1 | 12:6 | 12 |
| 3.ევერტონი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | 10 |
| 4.ვესტ ბრომივიჩი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 10 |
| 5.ფულემი | 5 | 3 | 0 | 2 | 12:7 | 9 |
| 6.არსენალი | 5 | 2 | 3 | 0 | 9:2 | 9 |
| 7.ტოტენჰემი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:6 | 8 |
| 8.ვესტ ჰემი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| 9.ნიუკასლი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:6 | 8 |
| 10.სიტი | 5 | 2 | 3 | 0 | 10:7 | 7 |
| 11.სუონსი | 5 | 2 | 1 | 2 | 10:7 | 7 |
| 12.სანდერლენდი | 4 | 0 | 4 | 0 | 4:4 | 4 |
| 13.სტოკი | 5 | 0 | 4 | 1 | 4:5 | 4 |
| 14.ასტონ ვილა | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |
| 15.უიგანი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:10 | 4 |
| 16.ნორვიჩი | 5 | 0 | 3 | 2 | 2:8 | 3 |
| 17.საუთჰემპტონი | 5 | 1 | 0 | 4 | 9:15 | 3 |
| 18.ლივერპული | 5 | 0 | 2 | 3 | 4:10 | 2 |
| 19.ქპრ | 5 | 0 | 2 | 3 | 3:11 | 2 |
| 20.რედინგი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:9 | 1 |

## ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 29.09 | ვალენსია–სარაგოსა | 1.44 | 4.0 | 8.0 |
| 29.09 | მალაგა–ბეტისი | 1.75 | 3.5 | 4.8 |
| 29.09 | სოსიედადი–ბილბაო | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 29.09 | სევილია–ბარსელონა | 6.0 | 3.6 | 1.6 |
| 30.09 | გრანადა–სელტა | 2.3 | 3.1 | 3.25 |
| 30.09 | ვალიადოლიდი–რაიო | 1.85 | 3.3 | 4.5 |
| 30.09 | ოსასუნა–ლევანტე | 2.05 | 3.2 | 3.75 |
| 30.09 | რეალი–დეპორტივო | 1.12 | 8.0 | 21.0 |
| 30.09 | ესპანიოლი–ატლეტიკო | 3.75 | 3.1 | 2.1 |
| 01.10 | ხეტაფე–მალიორკა | 2.2 | 3.1 | 3.5 |

**ვალენსია–სარაგოსა**

ვალენსია: ***ტრავმ***–რიკარდო კოსტა, დავიდ ალბელდა, პაბლო პიატი, ევერ ბანეგა, სერხიო კანალესი

სარაგოსა: ***ტრავმ***–ადამ პინტერი, ივან ობრადოვიჩი

**მალაგა–ბეტისი**

მალაგა: ***ტრავმ***–ჯერემი ტულანანი, ჟულიო ბაპტისტა

ბეტისი: ***ტრავმ***–პაულაუ

**სოსიედადი–ბილბაო**

სოსიედადი: ***ტრავმ***–დიეგო იფრანი, კლაუდიო ბრავო, ხოსე ანგელი, რუბენ პარდო, გორკა ელუსტუნდო

ბილბაო: ***ტრავმ***–გორკა ირაიზოზი, ოსკარ დე მარკოსი, ინიგო პერესი, ანდერ ერერა

**სევილია–ბარსელონა**

სევილია: ***ტრავმ***–არავინ

ბარსელონა: ***ტრავმ***–ადრიანო, ხერარდ პიკე, კარლეს პუიოლი, ანდრეს ინიესტა, ერიკ აბიდალი, ისააკ კუენკა

**გრანადა–სელტა**

გრანადა: ***ტრავმ***–მანუელ ლუკენა, ფრან რიკო, ჰასან იებდა; დისკვ–დანიელ ბენიტესი

სელტა: ***ტრავმ***–ენრიკე დე ლუკასი

**ვალიადოლიდი–რაიო**

ვალიადოლიდი: ***ტრავმ***–ლუის სასტრე, პატრიკ ებერტი

რაიო: ***ტრავმ***–ლეო

**ოსასუნა–ლევანტე**

ოსასუნა: ***ტრავმ***–დამია, მარკ ბერტანი; ***დისკვ***–ფრანსისკო პუნალი

ლევანტე: ***ტრავმ***–ტეოფანოს გეკასი, ხუანლუ, მიგელ პალარდო

**რეალი–დეპორტივო**

რეალი: ***ტრავმ***–არავინ

დეპორტივო: ***ტრავმ***–არავინ

**ესპანიოლი–ატლეტიკო**

ესპანიოლი: ***ტრავმ***–ფელიპე მატიონი, სერხიო გარსია, რაულ ბაენა; ***დისკვ***–ვაკასო მუბარაქი

ატლეტიკო: ***ტრავმ***–ემრე ბერეზოღლუ

**ხეტაფე–მალიორკა**

ხეტაფე: ტრავმ–არავინ; დისკვ– ალექსისი

მალიორკა: ***ტრავმ***–ხავი მარკესი, ალვარო ხიმენესი, ჯოვანი დოს სანტოსი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 5 | 5 | 0 | 0 | 14:3 | 15 |
| 2.ატლეტიკო | 5 | 4 | 1 | 0 | 15:7 | 13 |
| 3.მალიორკა | 5 | 3 | 2 | 0 | 7:3 | 11 |
| 4.მალაგა | 5 | 3 | 2 | 0 | 6:2 | 11 |
| 5.სევილია | 5 | 3 | 2 | 0 | 6:2 | 11 |
| 6.ბეტისი | 5 | 3 | 0 | 2 | 10:9 | 9 |
| 7.რეალი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:4 | 7 |
| 8.რაიო | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | 7 |
| 9.ლევანტე | 5 | 2 | 1 | 2 | 7:9 | 7 |
| 10.დეპორტივო | 5 | 1 | 3 | 1 | 7:7 | 6 |
| 11.სელტა | 5 | 2 | 0 | 3 | 6:6 | 6 |
| 12.სარაგოსა | 5 | 2 | 0 | 3 | 5:6 | 6 |
| 13.ვალიადოლიდი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:5 | 6 |
| 14.სოსიედადი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:9 | 6 |
| 15.ვალენსია | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | 5 |
| 16.ბილბაო | 5 | 1 | 2 | 2 | 8:12 | 5 |
| 17.ხეტაფე | 5 | 1 | 1 | 3 | 6:10 | 4 |
| 18.გრანადა | 5 | 0 | 2 | 3 | 2:8 | 2 |
| 19.ესპანიოლი | 5 | 0 | 1 | 4 | 7:11 | 1 |
| 20.ოსასუნა | 5 | 0 | 1 | 4 | 3:10 | 1 |

## იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 29.09 | პარმა–მილანი | 2.9 | 3.1 | 2.5 |
| 29.09 | იუვენტუსი–რომა | 1.7 | 3.6 | 5.0 |
| 30.09 | უდინეზე–ჯენოა | 1.95 | 3.1 | 4.33 |
| 30.09 | პალერმო–კიევო | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 30.09 | ბოლონია–კატანია | 2.5 | 3.1 | 2.9 |
| 30.09 | კალიარი–პესკარა | 1.75 | 3.4 | 5.0 |
| 30.09 | ლაციო–სიენა | 1.67 | 3.5 | 5.5 |
| 30.09 | ატალანტა–ტორინო | 2.25 | 3.1 | 3.4 |
| 30.09 | სამპდორია–ნაპოლი | 3.5 | 3.1 | 2.2 |
| 30.09 | ინტერი–ფიორენტინა | 2.25 | 3.1 | 3.4 |

**პარმა–მილანი**

პარმა: ***ტრავმ***–ისაკ ბელფოლდი, რაფაელ პალადინო, ფაბიანო სანტაკროჩე; ***დისკვ***–ხაიმე ვალდესი

მილანი: ***ტრავმ***–ანდრია პერესი, მეტიუ ფლამინი, დიდაკ ვილა, სალი მუნტარი, პატუ

**იუვენტუსი–რომა**

იუვენტუსი: ***ტრავმ***–ლეონარდო ბონუჩი, სიმონე პადიონი, სიმონე პეპე

რომა: ***ტრავმ***–მირალემ პიანიჩი, მატიას დესტრო, ბოგდან ლობონტი, პაბლო ოსვალდო, დოდო

**უდინეზე–ჯენოა**

უდინეზე: ***ტრავმ***–მაურისიო დომიცი, ლუის მურიელი

ჯენოა: ***ტრავმ***–ბოშკო იანკოვიჩი, იურაი კუჩკა, ხუან ვარგასი, მარკო როსი

**პალერმო–კიევო**

პალერმო: ***ტრავმ***–იოსილ ილიჩიჩი, სტივ ვონ ბერგენი, ეზეკიელ მუნიოსი, მილან მილანოვიჩი, მაურო კეტო, ერან ზაჰავი

კიევო: ***ტრავმ***–მარკო ანდრეოლი, ლუჩიანო, ლორენცო სქული, ალბერტო პალოსკი

**ბოლონია–კატანია**

ბოლონია: ***ტრავმ***–რენე კრინი, მარტი რივეროლა, დანიელ პორტანოვა

კატანია: ***ტრავმ***–კეკო, ალესანდრო პოტენცა

**კალიარი–პესკარა**

კალიარი: ***ტრავმ***–ანდრეა კოსუ, ვიჩენცო კამილერი; დისკვ–დანიელე კონტი

პესკარა: ***ტრავმ***–უროს კოსიჩი, ფრანჩესკო მოდესტო, სიმონე რომანოლი

**ლაციო–სიენა**

ლაციო: ***ტრავმ***–ალვარო გონსალესი, კრისტიან ბროკი, მიბიდო დიაკატე, შტეფან რადუ

სიენა: ***ტრავმ***–მატეო კონტინი, ანდრეა კამპანოლო, მარსელო ლარონდო, ნიკოლა ბელმონტე

**ატალანტა–ტორინო**

ატალანტა: ***ტრავმ***–გულიელმო სტენდარდო, ჯანპაოლო ბელინი, ფედერიკო პელუსო, დავიდე ბიონდინი, დანიელ კაპელი

ტორინო: ***ტრავმ***–სალვატორე მასიელო, მარიო სანტანა, ვალტერ ბირსა

**სამპდორია–ნაპოლი**

სამპდორია: ***ტრავმ***–ენცო მარესკა, ნიკოლა პოცი, ფერნანდო ტისონე, მაქსი ლოპესი, ანდრეა პოლი, ჯუნიორ და კოსტა

ნაპოლი: ***ტრავმ***–მიგელ ბრიტოსი

**ინტერი–ფიორენტინა**

ინტერი: ***ტრავმ***–უესლი სნეიდერი, როდრიგო პალასიო, დეიან სტანკოვიჩი, მაკდონალდ მარიგა

ფიორენტინა: ***ტრავმ***–ალბერტო აკვილანი, ფრანჩესკო დელა როსა

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:2 | 13 |
| 2.ნაპოლი | 4 | 4 | 0 | 0 | 11:2 | 12 |
| 3.სამპდორია | 5 | 3 | 2 | 0 | 8:4 | 10 |
| 4.ინტერი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:5 | 9 |
| 5.ლაციო | 5 | 3 | 0 | 2 | 7:5 | 9 |
| 6.რომა | 5 | 2 | 2 | 1 | 11:7 | 8 |
| 7.ფიორენტინა | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 8 |
| 8.ჯენოა | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| 9.კატანია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:7 | 7 |
| 10.მილანი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:5 | 6 |
| 11.ტორინო | 5 | 1 | 3 | 1 | 4:3 | 5 |
| 12.ატალანტა | 5 | 2 | 1 | 2 | 4:4 | 5 |
| 13.პარმა | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | 5 |
| 14.უდინეზე | 5 | 1 | 2 | 2 | 6:9 | 5 |
| 15.ბოლონია | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| 16.პესკარა | 5 | 1 | 1 | 3 | 4:10 | 4 |
| 17.კიევო | 5 | 1 | 0 | 4 | 3:9 | 3 |
| 18.კალიარი | 5 | 0 | 2 | 3 | 2:9 | 2 |
| 19.პალერმო | 5 | 0 | 1 | 4 | 1:9 | 1 |
| 20.სიენა | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | -1 |

შენიშვნა:

სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა

ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა

ატალანტას დაკებული აქვს 2 ქულა

სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა

## გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 29.09 | ვერდერი–ბაიერნი | 6.0 | 3.75 | 1.57 |
| 29.09 | ნიურნბერგი–შტუტგარტი | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| 29.09 | ლევერკუზენი–ფიურტი | 1.53 | 4.0 | 6.0 |
| 29.09 | ჰოფენჰაიმი–აუგსბურგი | 1.8 | 3.1 | 5.0 |
| 29.09 | ჰამბურგი–ჰანოვერი | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 29.09 | დორტმუნდი–გლადბახი | 1.4 | 4.5 | 8.0 |
| 30.09 | აინტრახტი–ფრაიბურგი | 1.8 | 3.2 | 5.0 |
| 30.09 | ვოლფსბურგი–მაინცი | 2.3 | 3.2 | 3.2 |

**ვერდერი–ბაიერნი**

ვერდერი: ***ტრავმ***–ასანი ლუკიმია, პრედრაგ სტევანოვიჩი, კრისტიან ვანდერი

ბაიერნი: ***ტრავმ***–მარიო გომესი, დავიდ ალაბა, ლუკას რაიდერი

**ნიურნბერგი–შტუტგარტი**

ნიურნბერგი: ***ტრავმ***–პატრიკ რაკოვსკი, ფილიპ კლემენტე

შტუტგარტი: ***ტრავმ***–თუნაი თორუნი, ტიმ ჰოოგლანდი, ანდრე ვეისი, დანიელ დიდავი, იაონ აუდელი

**ლევერკუზენი–ფიურტი**

ლევერკუზენი: ***ტრავმ***–სტეფან რეინარტსი, დავიდ იედელი, კოლია პუში

ფიურტი: ***ტრავმ***–სებასტიან ტირალა, ფრანკ ოჰანდა

**ჰოფენჰაიმი–აუგსბურგი**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***–აჰმედ სასი, ტიმ ვიზე

აუგსბურგი: ***ტრავმ***–სებასტიან ლანგკამფი, სიმონ ჯენთში, კნოულედგე მუსონა, დაუდა ბა

**ჰამბურგი–ჰანოვერი**

ჰამბურგი: ***ტრავმ***–ჯეფრი ბრუმა, დენის აოგო, სლობოდან რაიკოვიჩი, ტომას რინკონი

ჰანოვერი: ***ტრავმ***–ლეონ ანდრეასენი, არტურ სობიეხი, კრისტიან პანდერი

**დორტმუნდი–გლადბახი**

დორტმუნდი: ***ტრავმ***–პატრიკ ოვამოიელა, ზლატან ალომეროვიჩი, მუსტაფა ამინი

გლადბახი: ***ტრავმ***–გრანიტ ჰაკა; ***დისკვ***–მარტინ შტრანცლი

**აინტრახტი–ფრაიბურგი**

აინტრახტი: ***ტრავმ***–მარკ ოლივერ კემპი, ჯულიან დუდდა, მარკ სტენდერა

ფრაიბურგი: ***ტრავმ***–იან როზენტალი, ალექსანდერ შოულოუ

**ვოლფსბურგი–მაინცი**

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***–იან პოლაკი, მაქსიმილიან არნოლდი, სოტიროს კირიაკოსი, ვაცლავ პილარი

მაინცი: ***ტრავმ***–მარკ რიისე, ნიკოლა მიულერი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 5 | 5 | 0 | 0 | 17:2 | 15 |
| 2.აინტრახტი | 5 | 4 | 1 | 0 | 14:7 | 13 |
| 3.ჰანოვერი | 5 | 3 | 1 | 1 | 14:8 | 10 |
| 4.შალკე | 5 | 3 | 1 | 1 | 10:5 | 10 |
| 5.ფორტუნა | 5 | 2 | 3 | 0 | 4:0 | 9 |
| 6.დორტმუნდი | 5 | 2 | 2 | 1 | 11:8 | 8 |
| 7.ვერდერი | 5 | 2 | 1 | 2 | 9:8 | 7 |
| 8.ლევერკუზენი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| 9.ნიურნბერგი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:9 | 7 |
| 10.გლადბახი | 5 | 1 | 3 | 1 | 7:7 | 6 |
| 11.ჰოფენჰაიმი | 5 | 2 | 0 | 3 | 10:12 | 6 |
| 12.ფრაიბურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 7:8 | 5 |
| 13.ვოლფსბურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:8 | 5 |
| 14.ჰამბურგი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:10 | 4 |
| 15.მაინცი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| 16.ფიურტი | 5 | 1 | 1 | 5 | 2:8 | 4 |
| 17.შტუტგარტი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:12 | 2 |
| 18.აუგსბურგი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:10 | 1 |

## საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 29.09 | პსჟ–სოშო | 1.22 | 6.0 | 12.0 |
| 29.09 | ევიანი–ლორიენი | 2.5 | 3.1 | 2.9 |
| 29.09 | ნანსი–მონპელიე | 2.87 | 3.2 | 2.5 |
| 29.09 | ნიცა–ბასტია | 2.1 | 3.2 | 3.6 |
| 29.09 | ტრუა–ტულუზა | 2.9 | 3.1 | 2.5 |
| 29.09 | აიაჩო–ბრესტი | 1.91 | 3.2 | 4.5 |
| 30.09 | ვალანსიენი–მარსელი | 3.2 | 3.2 | 2.3 |
| 30.09 | სტ.ეტიენი–რეიმსი | 1.65 | 3.75 | 5.5 |
| 30.09 | ლიონი–ბორდო | 2.0 | 3.3 | 3.75 |

**პსჟ–სოშო**

პსჟ: ***ტრავმ***–ტიაგო მოტა, ეზეკიელ ლავეცი

სოშო: ***ტრავმ***–პიერიკ კროსი, იასინ მიკარი

**ევიანი–ლორიენი**

ევიანი: ***ტრავმ***–ალი მადი, ერიკ ტიე ბი

ლორიენი: ***ტრავმ***–ალაინ ტრაორე, არნო ლე ლანი, ბრუნო მანგა

**ნანსი–მონპელიე**

ნანსი: ***ტრავმ***–მასადიო ჰაიდარა, ზირი ჰამარი, აბდურაჰმან დამპა

მონპელიე: ***ტრავმ***–ჯონ უტაკა

**ნიცა–ბასტია**

ნიცა: ***ტრავმ***–ჯერემი პიდი, კევინ ანინი, დიაკო ფოფანა, ხავიერ პენტეკოტე

ბასტია: ***ტრავმ***–ილანი, იასინ ელ–აზიუზი

**ტრუა–ტულუზა**

ტრუა: ***ტრავმ***–ელონგე ენზა–იამისი

ტულუზა: ***ტრავმ***–ჯონათან ძებინა

**აიაჩო–ბრესტი**

აიაჩო: ***ტრავმ***–ადრიან მუტუ, არნო მაიერი, ფელიპ საადი

ბრესტი: ***ტრავმ***–ჯეფრი დერნისი, იოან მატიალი, ბერნანრდ მენდი, ოსმან კულიბალი

**ვალანსიენი–მარსელი**

ვალანსიენი: ***ტრავმ***–რემი გომისი, გრეგორი პუიოლი, დუშან დიურიჩი

მარსელი: ***ტრავმ***–სულეიმან დიავარა, ლეიტი ნდიაე

**სტ.ეტიენი–რეიმსი**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***–კურტ ზუმა, ფრანსიოს კლერკი

რეიმსი: ***ტრავმ***–კამელ ჟილასი, ოდაირ ფორტესი, მოჰამედ ფოფანა, ჟულიენ ტუდიჩი

**ლიონი–ბორდო**

ლიონი: ***ტრავმ***–მიშელ ბასტოსი, იოაჰ გურკუფი

ბორდო: ***ტრავმ***–ნიკოლას მორის–ბელაი, ლენდრი ნგუემო, ფაჰიდ ბენ ჰალფაჰანი, ანდრე ბიოგო პოკო

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.მარსელი | 6 | 6 | 0 | 0 | 9:1 | 18 |
| 2.ლიონი | 6 | 4 | 2 | 0 | 12:5 | 14 |
| 3.პსჟ | 6 | 3 | 3 | 0 | 10:3 | 12 |
| 4.ლორიენი | 6 | 3 | 3 | 0 | 12:7 | 12 |
| 5.რეიმსი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:5 | 10 |
| 6.ბორდო | 6 | 2 | 4 | 0 | 7:5 | 10 |
| 7.ტულუზა | 6 | 2 | 3 | 1 | 7:7 | 9 |
| 8.ბრესტი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:11 | 9 |
| 9.ნიცა | 6 | 1 | 4 | 1 | 8:7 | 8 |
| 10.ვალანსიენი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:5 | 8 |
| 11.აიაჩო | 6 | 2 | 2 | 2 | 5:7 | 8 |
| 12.სტ.ეტიენი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:8 | 7 |
| 13.ლილი | 6 | 1 | 4 | 1 | 8:8 | 7 |
| 14.სოშო | 6 | 2 | 0 | 4 | 7:10 | 6 |
| 15.ბასტია | 6 | 2 | 0 | 4 | 7:16 | 6 |
| 16.მონპელიე | 6 | 1 | 2 | 3 | 7:8 | 5 |
| 17.ევიანი | 6 | 1 | 1 | 4 | 6:8 | 4 |
| 18.რენი | 6 | 1 | 1 | 4 | 7:11 | 4 |
| 19.ნანსი | 6 | 1 | 1 | 4 | 2:8 | 4 |
| 20.ტრუა | 6 | 0 | 2 | 4 | 6:13 | 2 |


● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალეთ ბავშვებში ქრონიკულ სურდოს, ანგინას, შეკრულობას, დისბაქტერიოზს, ჭიებს, შიშებსა და უძილობას პედიატრ-ჰომეოპატთან კლინიკა „მედიგარდში". მის: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 593-78-44-67.

● კლინიკა „მედიგარდი" გთავაზობთ ნებისმიერი ტიპისა და სირთულის სისხლძარღვოვანი პათოლოგიის გამოკვლევასა და მკურნალობას. მკურნალობა ეფუძნება შემდეგ მეთოდებს: მეზოთერაპია, ჰირუდოთერაპია (წურბელები), ჰომეოპათია, ოზონოთერაპია და ფიტოთერაპია. მისამართი: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 599-57-25-08.

● იყიდება ძროხების ფერმა 16 სული, 12 ნამატით, ძროხებისა და მომვლელის კაპიტალური ბინით, მთელი წელი უზრუნველყოფილი საძოვრით. გლდანის ციხიდან 6 კმ-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებთმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82 ლამარა თოდუა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# კალიფორნიაში ფილმ ისლამის უცოდველობის“ პროდიუსერი დააკავეს




კალიფორნიაში ფილმ „ისლამის უცოდველობის“ პროდიუსერი დააკავეს, – ამის შესახებ ტელეკომპანია ბი-ბი-სი იუწყება.

ლოს-ანჟელესის პროკურატურის ინფორმაციით, ბასელი ნაკულა პატიმრობიდან ვადამდე გათავისუფლების პირობის დარღვევის გამო დააკავეს.

როგორც სამართალდამცავები განმარტავენ, 55 წლის ეგვიპტანილის დაკავება ფილმის შექმნას უკავშირდება.

ნაკულა კალიფორნიაში რამდენიმე წლის წინ ფინანსური მაქინაციების გამო აიყვანეს, თუმცა 2011 წელს ვადამდე რამდენიმე პირობით გაათავისუფლეს – მას სპეციალური ნებართვის გარეშე ინტერნეტითა და ფსევდონიმით სარგებლობა ეკრძალებოდა.

ლოს-ანჟელესის ფედერალურმა მოსამართლემ დაკავებული ამერიკული მართლმსაჯულების მოტყუების მცდელობაში დამნაშავედ ცნო და გამოთქვა ვარაუდი, რომ ის მიმალვას აპირებდა.

ფილმი „ისლამის უცოდველობა“, რომელიც ისლამურ ქვეყნებში მასობრივი არეულობის მიზეზი გახდა, მუჰამედ წინასწარმეტყველის შესახებ ალტერნატიულ ისტორიაზეა აგებული. კადრები სოციალურ ქსელებში 11 სექტემბერს გავრცელდა. მუსლიმანური სამყაროს წარმომადგენლები ფილმს მუჰამედისთვის შეურაცხმყოფელად მიიჩნევენ.

ისლამი კრძალავს მუჰამედის რაიმე სახით ვიზუალურად გამოხატვას, თუმცა მთავარი პროტესტი ამ ფილმში არა მხოლოდ წინასწარმეტყველის სახით გამოჩენამ, არამედ მისმა პროვოკაციულმა სახემ გამოიწვია.

მუჰამედის შეურაცხმყოფელი კარიკატურების გამო რამდენიმე წლის წინ აბობოქრებული მუსლიმანური სამყარო კიდევ ერთხელ აპირებს, ანგარიში გაუსწოროს ამერიკას და ტერორიზმით იმუქრება.

მომხდარის თაობაზე განცხადება გააკეთა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ფილმი მართლაც ამაზრზენი და შეურაცხმყოფელია, მაგრამ აშშ-ის ხელისუფლება ვერავის აუკრძალავს ფილმის გადაღებას.

ამასთან, ისლამისტური დაჯგუფებები აშშ-ისა და სხვა დასავლური სახელმწიფოების საელჩოებზე თავდასხმებს აწყობენ.

თავდასხმების სერია ლიბიიდან დაიწყო, რასაც ქალაქ ბენღაზიში აშშ-ის ელჩი კრისტოფერ სტივენსი და მასთან ერთად სამი დიპლომატი ემსხვერპლა. მუსლიმანების შტურმს მსხვერპლი მოჰყვა იემენშიც.

ამასთან, გასულ კვირას პაკისტანის რკინიგზის მინისტრმა „ისლამის უცოდველობის“ ავტორის მკვლელობისთვის ჯილდოდ 100 ათასი დოლარი დააწესა.

## აშშ-მ ჯულიან ასანჟი სახელმწიფოს მტრად აღიარა

აშშ-მ ჯულიან ასანჟი, რომელიც უკვე 100 დღეა ბრიტანეთის დედაქალაქში ეკვადორის საელჩოში იმყოფება, სახელმწიფოს მტრად აღიარა, ხოლო მის მიერ დაფუძნებული საიტი „ვიკილიქსი“ – ნაციონალური უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველად.

ასე რომ, ამიერიდან მისი სტატუსი ტერორისტული ორგანიზაცია „ალ ქაიდას“ და მოძრაობა „თალიბანის“ იდენტურია.

ავსტრალიური გაზეთი „სიდნეი მორნინგ ჰერალდი“ სწორედ ასე ახასიათებს ასანჟსა და მის ინტერნეტგვერდს აშშ-ის ხელისუფლების შიდა დოკუმენტაციაში.



თავად ასანჟი გაეროს გენერალური ასამბლეის წარმომადგენლების წინაშე ტელეხიდის მეშვეობით სიტყვით გამოვიდა. იგი ეკვადორის საელჩოდან ჩაერთო. მან ბარაკ ობამა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის გამო გააკრიტიკა. ვიდეომიმართვაში, რომელიც ტელეარხმა „რაშა თუდეიმ“ ჩაიწერა, მან მოუწოდა აშშ-ის პრეზიდენტს, თავი დაანებოს „ვიკილიქსის“ დევნას.

– დროა, ამერიკამ „ვიკილიქსისა“ და მასთან დაკავშირებული ხალხის დევნა შეწყვიტოს“, – განაცხადა ლონდონში ეკვადორის საელჩოში მყოფმა ასანჟმა, სადაც ამ წლის ივნისის შემდეგ იმყოფება.

შეგახსენებთ, რომ ეკვადორმა ასანჟს თავშესაფარი აგვისტოში მისცა, თუმცა, როდესაც ასანჟი ბრიტანეთში საელჩოს დატოვებს, მას დაპატიმრება ემუქრება.

ჯულიან ასანჟი ავსტრალიელი ჟურნალისტი და პუბლიცისტია. ის ფართოდაა ცნობილი, როგორც ინტერნეტ-საიტ „ვიკილიქსის“ შემქმნელი. ეს საიტი აქვეყნებს დოკუმენტურად დადასტურებულ მასალებს, რომლებიც საიდუმლო სამსახურების არქივებიდან აქვს მიღებული.

## ერაყის ციხიდან 200 პატიმარი გაიქცა

ერაყის ციხეში მომხდარი ბუნტის შედეგად 200 პატიმარი გაიქცა. ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ცნობით, დაღუპულია, სულ მცირე, 14 ადამიანი, ათობით კაცი ციხიდან გაიქცა.

სი-ენ-ენ-ის ცნობით, გარდაცვლილებს შორის ორი პოლიციელი და ორი სამხედროა. ციხის დირექტორი მძიმედ დაიჭრა. ადგილობრივი მედიასაშუალებები აცხადებენ, რომ დაღუპულია და დაჭრილია უსაფრთხოების ძალების 26 წარმომადგენელი.

თავდამსხმელებს პოლიციის ფორმა ეცვათ და იმ მანქანით მოძრაობდნენ, რომლითაც ქვეყნის პოლიცია მოძრაობს.

სალაჰედინის პროვინციის გუბერნატორ აჰმედ აბდალ ალ-ჯაბურის თქმით, უსაფრთხოების ძალებმა 33 გაქცეული უკან დააბრუნეს. ინციდენტი გასულ ღამეს ქალაქ ტიკრიტის ციხეში მოხდა, რომელიც ერაყის დედაქალაქ ბაღდადიდან 160 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს.

არეულობა ციხეში ვახშმის შემდეგ დაიწყო. ათეულობით მსჯავრდებულმა დაცვისთვის იარაღის წართმევა მოახერხა, რის შემდეგაც მათ ყველა საკნის კარი გააღეს და მთელი შენობა კონტროლზე აიყვანეს.



არეულობის დასარეგულირებლად ხელისუფლებამ ციხეში პოლიციელთა ბრიგადები და საჯარისო ქვედანაყოფები გაგზავნა, ოპერაციაში ჩაერთო რამდენიმე ვერტმფრენიც. პოლიციამ 200 გაქცეული პატიმრიდან მხოლოდ 33-ის დაბრუნება შეძლო. ამ ეტაპზე დანარჩენი პატიმრების სამძებრო სამუშაოები გრძელდება, ციხეზე კონტროლი კი სრულად არის აღდგენილი. ერაყის უშიშროების ძალების სამსახურის ვერსიით, ამბოხებასთან საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-ქაიდას“ წევრებიც არიან კავშირში. ორგანიზაციის მრავალი წევრი სწორედ აღნიშნული ციხის პატიმარი იყო.

მიმდინარე წლის ივლისში ორგანიზაციის ერაყულმა ფრთამ „სამხედრომ“ კამპანიის დაწყება გამოაცხადა, რომელიც დაკავებულთა და სუნიტ-მუსლიმან მსჯავრდებულთა გათავისუფლებისკენ იქნებოდა მიმართული.

## ალ-ქაიდას“ წამყვანი ფიგურა ლიბიაში ცხოვრობს



„ალ-ქაიდას“ წევრი, რომელსაც აღმოსავლეთ აფრიკაში ამერიკის ორ საელჩოზე თავდასხმასთან აქვს კავშირი, ცოცხალია და ამჟამად ლიბიაში ცხოვრობს, – აღნიშნულის შესახებ დასავლეთის დაზვერვის წყაროები აცხადებენ.

„სი-ენ-ენ-ის“ ცნობით, 48 წლის აბუ ანას ალ ლიბი ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლიში შენიშნეს და შესაძლოა ქვეყანაში „ალ-ქაიდას“ ქსელსაც ქმნის. უცნობია, აქვს თუ არა აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია თავად ლიბიის მთავრობას.

„სი-ენ-ენ-თან“ საუბრისას ლიბიის მთავრობის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა განაცხადა, რომ არ იცის, იმყოფება თუ არა ლიბი ტრიპოლიში, თუმცა, ჰქონდათ ინფორმაცია, რომ იგი ავღანეთში იმყოფებოდა.

ზუსტად უცნობია, თუ როდის დაბრუნდა ლიბი ტრიპოლიში. ერთი წყარო აცხადებს, რომ ეს გასული წლის გაზაფხულზე მოხდა.

„ალ-ქაიდა“ არ არის ერთიანი სტრუქტურის მქონე ორგანიზაცია. ის უფრო ნაკრებია საერთაშორისო მასშტაბით მოქმედი ისლამისტური ტერორისტული ჯგუფებისა, რომელთაც ნაწილობრივ საერთო მიზნები ამოძრავებს. ეს ჯგუფები დეცენტრალიზებული ქსელის სტრუქტურის მქონეები არიან და ერთმანეთთან უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ მეთაურთა პირადი კონტაქტებით არიან დაკავშირებულნი. ჯგუფებს არ გააჩნიათ იერარქიული მმართველობა.

ბევრი სპეციალისტის აზრით, „ალ-ქაიდას“ არ გააჩნია ერთი ლიდერი, არამედ ამ სახელის ქვეშ მოაზრებულ ყველა ორგანიზაციას თავისი ლიდერი ჰყავს, რომლებიც სხვა ლიდერებზე ნომინალურად დამოკიდებულნი ან სულაც დამოუკიდებელნი არიან. ასე რომ, „ალ-ქაიდა“, შეიძლება ითქვას, უფრო იდეაა, ვიდრე სტრუქტურირებული ორგანიზაცია. ამის დასადასტურებლად ექსპერტებს შემდეგი სახის ფაქტორები მოჰყავთ:

ყველა, ვინც შეძლებს ფუნდამენტურ-ისლამისტური ტერორისტული ჯგუფის ჩამოყალიბებას, შეიძლება, „ალ-ქაიდას“ წევრად ჩაითვალოს.

წევრობისათვის საჭიროა, პიროვნებამ ან ჯგუფმა ჩაატაროს წარმატებული ტერაქტი.

„ალ-ქაიდას“ არ გააჩნია წევრთა სია.

„ალ-ქაიდა“ არ იცნობს რაიმე სახის შეზღუდვებს ტერაქტების მიზნების დასახელების დროს.

„ალ-ქაიდას“ მიკუთვნებული ტერაქტები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა ხარისხითა და შესრულების სტილით.

სახელი „ალ-ქაიდა“ ერაყის ომის დაწყების შემდეგ დასავლეთის ქვეყნებსა და აშშ-ში გადაიქცა ბოროტების, მტრის ისეთ სინონიმად, როგორც იყო კომუნისტი ცივი ომის პერიოდში.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

## ოქრობიჭი

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ერთ-ერთ ვარჯიშზე, ჩვენი გუნდის სელექციონერმა, ლერი გაბესკირიამ შეამჩნია. მოეწონა და უმალვე მისი „გაგრაში“ წამოყვანა მოინდომა. მოახერხა კიდევაც, მაგრამ თორნიკე პატარა იყო, ჯერ კიდევ 18 წლის არ იყო.

შესრულებული და მისთვის თავის გამოჩენის საშუალების მიცემა რთული იყო.

ყოველ შემთხვევაში მწვრთნელებმა ვერ გარისკეს. თუმცა მისი დებიუტი კარგად მახსოვს. „დინამოს“ სტადიონზე შედგა, დიდი „დინამოს“ წინააღმდეგ. მართალია, ის შეხვედრა წავაგეთ, მაგრამ სიმბოლურია მაინც ის, რომ თორნიკემ უმაღლეს ლიგაში პირველად სწორედ „დინამო არენაზე“ ითამაშა და შემდეგ მის კარიერაში უმნიშვნელოვანესი გოლიც გაიტანა. გინდ ამას დამთხვევა დაარქვით, გინდ კანონზომიერება – ბუნებაში უკვალოდ არაფერი არც ჩნდება და არც იკარგება.

კლუბის პრეზიდენტ ბესო ჩიხრაძეს არაერთხელ უთქვამს – ამ ბავშვს ძლიერ აქებენ, ოქრიაშვილია გვარად. მაგრამ მისი თამაში არ მინახავსო. მაინც იმიტომ, რომ თორნიკეს მეორე გუნდში უწევდა თამაში. ერთხელაც, მეორე გუნდს მუხრანში ჰქონდა თამაში და ბატონი პრეზიდენტიც ჩამობრძანდა. თამაში სულ რაღაც 5-7 წუთის დაწყებული იყო, რომ თორნიკემ ულამაზესი გოლი გაიტანა. მაგრამ არა ისეთი, როგორიც ბელორუსთან, დამიჯერეთ კიდევ უფრო შთამბეჭდავი – სამი მეტოქე მოატყუა, შემდეგ კარისკენ გაიხედა და ცხრიანში ჩასვა. თუ კარგად მახსოვს, იმ შეხვედრაში თორნიკემ სამი გოლი გაიტანა და სამიც საგოლე გააკეთა. გაგრამ 7:0 მოიგო, მაგრამ არ იფიქროთ, რომ სუსტ გუნდს ხვდებოდა. უბრალოდ, თორნიკე იყო შეუდარებელი....

მაშინ მთავარი მწვრთნელი უკრაინელი ვიქტორ კაშჩეი იყო. ბატონი პრეზიდენტი მას სულ რამდენიმე წუთს ესაუბრა და თორნიკეც პირველ გუნდში გადმოვიდა.

ვიკტორ კაშჩეი, „გაგრის“ ყოფილი მწვრთნელი:

– ჩემი მოვალეობა იყო, მენახა ყველა ის ფეხბურთელი, რომელიც ჩვენს განკარგულებაში იყო. მაგრამ გადაწყვეტილების მიღება მწვრთნელისთვის ადვილი არასოდესაა. ბევრი ფაქტორი უნდა გაითვალისწინო და ეს განსაკუთრებით რთულია მაშინ, როდესაც საქმე უცხოელ მწვრთნელშია. დიახ, მეც კარგად მახსოვს ის შეხვედრა. თორნიკე ნიჭიერი ბიჭი იყო. მაგრამ გუნდში ახალი მისული ვიყავი და დაკვირვებას ვაგრძელებდი. იმ შეხვედრაში კი მან სასწაულები გააკეთა. ცალსახა იყო, მე ის გუნდის ძირითად შემადგენლობაში დავინახე. აი, ჩვენს დროს 10-იანს რომ ეძახდნენ, ზუსტად იმ ადგილას. შეუდარებელი იყო.

ფეხბურთელებს ხშირად ეკითხებიან, რომელი მწვრთნელი იყო თქვენთვის გამორჩეულიო. ისინიც ასახელებენ. მეც მიხარია, რომ თორნიკესთან მომიწია მუშაობა. ცოტა ჯიუტი იყო, ხანდახან ზედმეტად ინდივიდუალისტი, მაგრამ პასიც იცის, კარში დარტყმაც და მინდორს ხომ ხედავს და ხედავს.

ანატოლი პისკოვეცი, „გაგრას“ ყოფილი მწვრთნელი:

– „გაგრას“ მეტად რთულ მდგომარეობაში შევუერთდი. გუნდი კატასტროფულ მდგომარეობაში იყო. ცხრა თამაშიდან მხოლოდ ქულა ჰქონდა. შეუძლებელი ვერ შევძელით, მაგრამ გუნდმა ითამაშა ჩინებულად, მეოთხე წრის მიხედვით მესამე ადგილი დავიკავეთ, თუმცა საბოლოოდ უმაღლეს ლიგას დავემშვიდობეთ.

ოქრიაშვილი? იცით, ზედმეტად დამჯერი ფეხბურთელიც არ ვარგა. არა, ეს ისე არ გაიგოთ, თითქოს უდისციპლინო ფეხბურთელები მომწონდეს. კონკრეტულ სიტუაციაში ფეხბურთელმა გადაწყვეტილება თავად უნდა მიიღოს. თორნიკეს სწორედ ეს აქვს. მას არ ეშინია, იცის როგორ უნდა იმოქმედოს.

კარგად მახსოვს, ბოლო თამაში ბოლნისში გვქონდა. 0:2 წავაგეთ, მაგრამ 10 გოლი მაინც უნდა გაგვეტანა და აქეთ გავუშვით. არ გვიმართლებდა. თორნიკესთვის ეს „გაგრაში“ ბოლო შეხვედრა იყო. მან იცოდა, რომ დონეცკის „შახტარში“ ყიდდნენ. მე მას ვუთხარი – ითამაშე, ოქრი!

აღელვებული იყო, მაგრამ უკვე რაღაცნაირად გაზრდილი, დამშვენებული. ითამაშა, პასებიც გააკეთა, ტაშიც დაუკრეს და მოკლედ, ვფიქრობ, რომ ღირსეულად ითამაშა „გაგრაში“ და დიდ გუნდში წავიდა.

რა არის ფეხბურთელისთვის მთავარი? კარგი მინდორი, კარგი ბურთი და... ძვირადღირებული ბუცი! ამაზე ხშირად ვხუმრობთ ხოლმე, ასეთ ფასს რომ იხდი ბუცში, რა თავისით დაარტყამსო?!

თორნიკე მართლაც სულ სხვანაირად გამორჩეულია. გუნდში მეგობრები ჰყავდა და ყოველთვის ეხმარებოდა, ბევრისთვის ბუცი ჩამოუტანია, ბევრისთვის ფულიც უჩუქნია. კეთილი ბიჭია, მხიარული. თვითდაჯერებული. არც „გაგრაში“ თამაშის დროს იყო სუსტი, მაგრამ ახლა როგორც იტყვიან „პროფესიონალურ ტანზე“ დგას.

თავი რომ მოაწონო, თემურ ქეცბაიას ეს ადვილი სულაც არაა. მაგრამ ვინმეს თუ ეჭვი ეპარებოდა ამ ბისი ნაკრებში გამოძახების, ასე არ ფიქრობდა ნაკრების თავკაცი და არჩევანმა გაამართლა. კაშჩეის სიტყვების არ იყოს – ბელორუსსთან „ოროსანი“ თორნიკე ესპანეთთან 10-ნომრიანი მაისურით მოგვევლინა. ალბათ, მისთვის ნება რომ მიეცათ, არაერთ ლამაზ მომენტს აჩუქებდა მაყურებელს, მაგრამ...შეკრებაზე ანტალიაში ვიყავით და გუნდს მოაკითხა. მან კარგად იცის, რომ ის გზა, რომელიც მან გაიარა და არ ყოფილა ნამდვილად ია-ვარდით მოფენილი და ახლა სხვა რომ გადის, გვერდში დგომა სჭირდება.

და მაინც, ახლა ბოლოსკენ, ისევ ბელორუსთან და ესპანეთთან გამართულ შეხვედრებს გვინდა რომ დავუბრუნდეთ. თავად ესპანელებმა აღიარეს, რომ საქართველოს ნაკრებიდან მინდორზე სამი გამორჩეული ფეხბურთელი იყო – მეკარე ლორია, მცველი ხიზანიშვილი და ნახევარმცველი ოქრიაშვილი.

ვის ვის და ესპანელებს ტექნიკური ფეხბურთი ნამდვილად არ უკვირთ, მაგრამ იმ თამაშში, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, თორნიკემ ეს მოახერხა, ორ-სამჯერ ისე დაუსხლტა ალბას, ბუსკეტსა და პიკეს, რომ დარწმუნებული ვარ, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები ძლიერ გამწარდნენ... მაგრამ ვინ იცის, დრო რომ გავა, თორნიკემ იქნებ კიდევ არაერთხელ მოახერხოს ასეთი მაღალი დონის ფეხბურთელების გაწბილება, დასხლტომა და როგორც 8 სექტემბერს გაახარა მთელი საქართველო, ისევე გაახაროს მომავალშიც. საფეხბურთო კლუბ „გაგრას“ მიზანი კი ისაა, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში რაც შეიძლება მეტმა მისმა აღზრდილმა ითამაშოს. ამაზე დიდი წარმატება კლუბისთვის სხვა რაღა უნდა იყოს.

P.S. იქნებ ვცდებით, მაგრამ განა ყოფილა დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში, რომ ქართველის მიერ გატანილი გოლი სანაკრებო დონეზე უეფა-ს მიერ საუკეთესოდ იქნა აღიარებული???

არ გვახსენდება და თორნიკემ ქართული ფეხბურთი კიდევ ერთხელ ასახელა. და მადლობა მას ამისთვის.

განა ყოფილა ოდესმე, რომ ტვგოლზე ქართველ ლიდერს რეიტინგში ელიდეროს? მსგავსი რამ აქამდე არ ყოფილა და დიდი მადლობა მას ამისთვის.

და მართლაც, საქართველოს ნაკრებისთვის აღიარებაა არაა, როდესაც ესპანეთის ნაკრების ძლევამოსილი მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე იტყვის, – საქართველოს ნაკრებიდან ყველაზე მეტად ნერვებს ლორია და ოქრიაშვილი მიშლიდნენო?

# TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა

## ორშაბათი 1 ოქტომბერი

08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 22.00, 00.00, 01.30 მოამბე
8.30 დოკ. ფ. "ოკეანის ფსკერი" 09.10 ან. ფ. "მახინჯი იხვის თავგადასავალი" 10.35 მხ.ფ. "კატები და ძაღლები" 12.30 მხ.ფ."დათვი სახელად ვინი" 14.30 დოკ. ფ. "მსოფლიო ქალაქები" 15.30 ჩვენი ფერმა. 17.00 დოკ.ფ."ოკეანის ფსკერი" 18.30 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. "ტაქსისტი" 21.00 სერ. "დეტექტივი" 22.30 ქართული დოკუმენტალისტიკა. 23.00 მხ.ფ."გზა და კავშირი" 01.00 საფარი 01.50 მხ.ფ."ტრანსფორმერები" 04.00 მხ. ფ. "ჩრდილოეთის ქვეყანა" 05.50 დოკ. ფ. "ქალწული დედოფალი"

08.00 დოკ. ფ. "მსოფლიოს ქალაქები – იოჰანესბურგი". 09.00 მხ.ფ. "ფილდერის არჩევანი". 10.30 დოკ.ფ. "სამყარო". 11.30 მხ.ფ. "ჩვეულებრივი სასწაულები" 13.00 დოკ.ფ. "ეგვიპტე". 14.00 მხ.ფ."დეკემბრის ბიჭები" 16.00 დ. ფ. "დედამიწა: პლანეტის ძალა" 1 სერ. 17.00 მხ.ფ. "დიდი ღამე" 19.00 დ.ფ. "მსოფლიოს ქალაქები – ფლორენცია" 20.00, 23.00 ბრიფინგის დრო 22.00 დოკ. ფ. "მსოფლიოს ქალაქები რომი" 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ.ფ."ფრენკი და ჯონი".

07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00, 05.00 ქრონიკა. 07.35, 08.10, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ."იღბლიანი მოახლე" 11.30 ქრონიკა + 11.50 სერ. "უკვდავი ამბავი" 12.30 დღის შოუ. 14.40 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 15.40 სერ. "მოჯადოებული" 17.40 სერ. "მეწამული ცა" 18.40 სერ. "შურისძიების სახელით" 21.00 სერ. "მემკვიდრეები" 22.00 ქ. მხ. ფ. "ფიროსმანი" 23.45 მხ. ფ. "ილაიას წიგნი" 02.25 მხ.ფ. "პირდაპირი მოქმედება" (გ. სკაკი) 04.00 მხ.ფ. "მატჩ პოინტი". 06.15 მუსიკა.

07.30 დილამშვიდობისა საქართველო. 10.00 სერ."ქალის მსხვერპლი" 11.00 სერ. "ეჭვი და სიყვარული". 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები. 12.00 შუა დღე. 17.00 სერ. "ტერეზა" 18.45 სერ. "მგზნებარე გული" 19.50 სერ."ველური ყვავილი" 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 00.00 MTV PUNK'D 00.30 MTV Boyling Points 01.00 მხ.ფ. (ტიტ.) 03.00 კურიერის დაიჯესტი.

08.00 ან. ფილმი "არგაი". 08.55 სერ. "ჩემი შეყვარებული" 09.45, 12.00, 15.00, 17.00 ტვ-მარკეტი 10.00 მხ. ფ. 12.15 სერ. "შტრაუსების დინასტია" 13.00 მხ. ფ. 15.15 პულსი 15.45 დოკ. ფ. "ექსტრემალური ამბები" 17.10 სერ. "ვერონიკა მარსი" 18.00 მხ. ფ. 20.00 სერ. "ტყუპები" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფ. 00.00 მხ. ფ. 01.50 მხ. ფ.

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 19.30, 20.30, 22.30, 02.15 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 დოკ. სერ. 10.30 დოკ. ფ. 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. "საგა" 12.50, 19.35 სერ. 13.50 1000 წვრილმანი. 15.15 დოკ.ფ. 16.00 დოკ.ფ. 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ.ფ. 19.30 ანონსი. 23.00 მხ.ფ. "მსუბუქ მოცეკვავე ყოფილიყავი" 00.40 მხ.ფ."ანგარიშსწორება-2"

ერთსულოვნება 08.30
განთიადი 10.05, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.05, 18.55, 21.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.15 პატრიარქის ქადაგება. 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ. ფილმი "ფესვები". 13.30 კონცერტი. 15.05, 18.53, 22.55 ერთი ნივთის ისტორია. 15.10 განთიადის სტუმარი. 15.35 სპექტაკლი "შთამომავლობა" 17.15 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 18.10 გუშინდელი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00 სიახლენი 19.20 მხ. ფილმი "ხევისბერი გოჩა". 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება. 21.15 სღვთისმეტყველო საუბრები 22.00 სიახლენი 22.25 დოკ. ფილმი "მოკითხვა უთხარით საქართველოს" 23.00 სალამის ლოცვა. 23.15 დოკ. ფილმი "ვარდისფერი კაცი" 00.10, 02.30 სიახლენი. 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები. 02.00 ირაო.

## სამშაბათი 2 ოქტომბერი

07.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 08.00 დოკ.ფ."ოკეანის ფსკერი". 09.10 ან. ფ. "ჩარეცხილი". 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.40 მოამბე 10.30 მხ.ფ. "ცალრქას მოგზაურობა". 12.50 მხ.ფ. "უბრალოდ დესერტი" 14.30 დოკ. სერ. "მსოფლიო ოდისეები" 15.00 სერ. "დეტექტივი" 17.00 მედინფო. 17.30 დოკ.ფ."ოკეანის ფსკერი" 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. "ტაქსისტი " 21.00 სერ. "დეტექტივი" 22.00 დიალოგი დავით პაიჭაძესთან. 22.45 ჩემპიონთა ლიგა ბენფიკა - ბარსელონა 00.40 მხ.ფ. "მოთამაშე" 03.00 მხ.ფ."ტრანსფორმერები" 05.20 მხ.ფ."უბრალოდ დესერტი"

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 ბრიფინგის დროით 11.00 დოკ.ფ. "დედამიწა პლანეტის ძალა" 1-სერ. 14.00 დოკ. ფ. "ეგვიპტე" 16.00 დოკ.ფ. "დედამიწა პლანეტის ძალა" 2-სერ. 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ.ფ. "მწუხრი ".

